



## Shape Postures and Postures of the Soul

by Dr. hc. David Boadella

Translated by Nana Mikashavidze

### სტრესი და ხასიათის სტრუქტურა კონცეფციების სინთეზი

მომზადებულია 1974 წლის 18 იანვარს, ტავისტოვსკის ადამიანური ურთიერთობების ინსტიტუტში წარდგენილი სამეცნიერო ანგარიშის საფუძველზე

### ნაწილი 1 ლიბიდინალური ენერჯია და ადამიანებს შორის კონტაქტი

ფროიდის დროიდან ხასიათის შესწავლა (ქარაქტეროლოგია) ორი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: ერთის მხრივ, არსებობს ხასიათის ტიპების სისტემა, რომელიც ეყრდნობა განვითარების ორალურ - ანალურ - გენიტალური სტადიების კლასიფიკაციას და აგრძელებს ფროიდის ლიბიდოს ბლოკებზე ფოკუსირებულ, ინსტინქტების ფსიქოლოგიას. ხასიათის შესწავლის კლასიკური ნამუშევრები მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში რაიხის “ხასიათის ანალიზი” (1) და ფენიხელის “ნევროზების ფსიქოანალიტიკური თეორია” (2) იყო. ფენიხელი რაიხთან ერთად სწავლობდა და თავის წიგნში მისი ბევრი იდეა აქვს გამოყენებული.

რაიხის სიკვდილის შემდეგ მისი ორი მიმდევარი შეეცადა ხასიათის განვითარების დინამიკის ხელახლა გააზრებას. ელსვორტ ბეიკერმა წიგნში “ადამიანი ხაფანგში” (3) შეაჯამა რაიხის ხასიათის ძირითადი ტიპები და დაამატა საკუთარი ახალი კატეგორიები. მეორე მცდელობა ალექსანდრე ლოუენს ეკუთვნის, რომელმაც რაიხის ხასიათის კონცეფცია გააფართოვა და უფრო სიღრმეში ჩავიდა. ლუენის წიგნი “ხასიათის სტრუქტურის ფიზიკური დინამიკა”, (4) ფაქტიურად რაიხის “ხასიათის ანალიზის” პირდაპირი გაგრძელებაა და დღემდე ხასიათის ფორმირების თემაზე საუკეთესო წიგნად შეიძლება მივიჩნიოთ. ლოუენის კლასიფიკაცია ძირითადად კვლავ ორალურ, მახოხისტურ (ანალურთან ერთად) და გენიტალურ ტიპებს მოიაზრებს, თუმცა მან დაამატა ორი თავი შიზოიდურ და შიზოფრენიულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

ხასიათის ანალიზის მეორე მიმართულებაც ფროიდის ბაზაზე აღმოცენდა, მაგრამ განსხვავებულად განვითარდა. ამ მიმართულების საფუძვლად არა მისი ინსტინქტების თეორია, არამედ ეგო ფსიქოლოგია იქნა გამოყენებული. ჰარი განტრიპი (5) კვალდაკვალ მიყვა ამ მიდგომის განვითარების ისტორიას მელანი კლაინიდან დაწყებული, ფერბერნის, ვინიკოტის და “ობიექტი-ურთიერთობების” ბრიტანული ფსიქო-ანალიტიკური სკოლის ჩათვლით. ამ მიმართულებასთან ბევრი საერთო აქვს სალივანის და ვაშინგტონის ამერიკული სკოლის ნაშრომებს: აქცენტი ორივე შემთხვევაში კეთდება ადამიანებს შორის კონტაქტის ხარისხზე და არა მხოლოდ ლიბიდოს ორალურ-ანალურ და გენიტალურ სტადიებზე განვითარების შეფერხებაზე. მელანი კლაინმა შემოიტანა ტერმინები: “დეპრესიული პოზიცია” და “პარანოიდული პოზიცია” ადამიანებს შორის ურთიერთობების ორი მოდალობის აღსაწერად. რაიხის კვალდაკვალ, კარენ ჰორნიმ გამოყო ხასიათის ტიპები: ტიპი, ვინც ადამიანების წინააღმდეგ მოძრაობს, ის ვინც ადამიანებისკენ მოძრაობს და ის, ვინც მათ შორდება.

ყველაზე თვალსაჩინო მიდგომა ობიექტთან ურთიერთობის თეორიის ფარგლებში წარმოადგინა ფრენკ ლეიკმა თავის მონუმენტურ წიგნში ხასიათის კვლევასთან (6) დაკავშირებით, რომელიც ყველა მიმართულებისთვის ქვაკუთხედი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ლეიკი ცალსახად აკავშირებდა თავის ნათლად წარმოჩენილ ფსიქოდინამიკას ქრისტიანულ თეოლოგიურ კონცეფციებთან.

ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში, ლოუენმა ორი წიგნი გამოსცა, რომლებშიც ინტერპერსონალური კუთხით გამოიკვლია როგორც შიზოიდური (სხეულის დალატი) (7), ასევე დეპრესიული პოზიცია (დეპრესია და სხეული) (8). ის წარმოგვიდგება როგორც ძალიან კრეატიული მოაზროვნე, რომელიც მუდმივად ავითარებს საკუთარ მიდგომას ხასიათთან მიმართებაში, ამარტივებს მას და ფორმალური პროცესები მთავარ, მნიშვნელოვან შეფასებამდე დაჰყავს. მისი ყველაზე გვიანდელი ნაფიქრი წარმოდგენილია 1973 წლის ნაშრომში ხასიათის იერარქიის შესახებ (რომელიც გამოიცა “ენერჯია და ხასიათის” მე-5 გამოცემის მე-3 ნომერში). (10)

რაიხისგან წამოსული ლოუენის მიდგომა, რომელიც აქცენტს ენერჯიასა და სხეულებრივ დამაბულობის სისტემებზე აკეთებს, ფიზიკური დინამიკით დაიწყო და განვითარდა ხასიათის ბლოკების გამომწვევი, უფრო ძირეული სიტუაციების მთლიანობაში გააზრების მიმართულებით. ლეიკის მიდგომა ეფუძნება ქრისტიანული თეოლოგიას და ტრავმატულ პირობებში დაბადებული სულის ავადმყოფობის შესახებ მის შეხედულებებს. ლეიკი ახლახანს გაეცნო ბიო-ენერგეტიკულ მიდგომას და თავისი ღრმა პატივისცემა (აღიარება) შემდეგნაირად გამოხატა:

“ლოუენის “სხეულის დალატი” შიზოიდური პიროვნების დინამიკის შესახებ დეტალური, მშვენივრად დაწერილი ნაშრომია. ალბათ ვერც შევძლებ სრულყოფილად შევაფასო მისი მუშაობის ნაყოფიერება შინაგანი და გარე ფაქტორების და მათ შორის კავშირების შესწავლასთან დაკავშირებით. ის გამორჩეულად აღიქვამს ფიზიკური უნარების იმ შეზღუდვებს, რომლებიც შიზოიდურ პიროვნებებს სტანჯავთ”. (11)

ლოუენის ხასიათის კონცეფციების ადაპტაცია კარგად მოახდინეს ბიო-ენერგეტიკის ანალიტიკოსებმა, თუმცა მისი იდეების განვითარება მისი ჯგუფის წევრების მიერ აღარ განხორციელებულა. ფრენკ ლეიკი უკმაყოფილებას გამოხატავს რომ მისი მიდგომა ვერ გაიგეს ვერც ფსიქიატრებმა და ვერც თეოლოგებმა, თუმცა მისმა წიგნმა ალაფრთოვანა დიასახლისები.

უკვე რამოდენიმე წელია რაც დაინტერესებული ვარ ხასიათის დაცვით მექანიზმებს და ცხოველების სტრესზე რეაქციებს შორის კავშირით. აღფრთოვანებული ვარ იმ მარტივი ფაქტით, რომ ორივე წიგნი, ლოუენის და ლეიკის, ასე ღრმად აღწერს ხასიათის ფორმირების პროცესს და ამავე დროს სრულიად სხვადასხვა წყაროდან, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიქმნა.

წინამდებარე ნაშრომი არის გაცნობითი ხასიათის. მე ვცდილობ ლოუენის და ლეიკის ხასიათის საფუძვლების კონცეფციები დავაკავშირო და ამავე დროს შეძლებისდაგვარად დავაშორო ისინი ფროიდიანულ ტერმინოლოგიას, ეტოლოგიის სასარგებლოდ. ეს არის მათი ნამუშევრების სხვა კუთხიდან, ფსიქოანალიტიკური ჩარჩოების გარეთ დანახვის მცდელობა.

ვილჰელმ რაიხმა გვაჩვენა რომ ხასიათი და სხეულის აღნაგობა მათი განმაპირობებელი ენერგეტიკული მეტაბოლიზმის განზოგადებული გამოხატულებაა. ენერგეტიკული მეტაბოლიზმის ოთხი ასპექტი გამოიყოფა, რომლებიც მნიშვნელოვანია ზრდისა და განვითარებისთვის:

ა) ენერგეტიკული დინება ან ენერჯის ცირკულაცია ცენტრიდან პერიფერიისკენ. გაფართოებისა და შევიწროების ბაზისური რიტმი (პულსაცია) არის ვეგეტატიური ცხოვრების საფუძველი. ამ ენერჯის ხასიათი აქ არ არის აღწერილი, თუმცა მას ვეხები ჩემს წიგნში რაიხზე და “ენერჯია და ხასიათის” ჟურნალში გამოქვეყნებულ ბევრი ნაშრომში. გულის სისტოლა და დიასტოლა, ნაწლავების მოძრაობა (პერისტალტიკა) და სუნთქვის პულსატორული მოძრაობა, ავტონომიური ნერვული სისტემის გავლით სწორედ ამ ენერგეტიკულ რიტმს გამოხატავენ. ძირითადი ემოციური პოლარობაც გამოიხატება სამყაროსთან ურთიერთობის მიმართ ექსპანსიაში (სიამოვნების დროს) და სამყაროსგან უკან დახევვაში, შეკუმშვაში (უსიამოვნების და შფოთვის დროს).

ბ) ენერჯის დონე, ანუ მუხტის სიძლიერის ხარისხი. ორგანული ენერჯის დონეს განსაზღვრავს სუნთქვა, რომელიც ენერჯით ავსებს ბიოლოგიურ სითხეებს და სისხლს და ჟანგბადით ამარაგებს საკვებს. ანუ შეიძლება ითქვას რომ სიცოცხლის ცეცხლს ამდიდრებს. ღრმა სუნთქვა ხელს უწყობს ენერჯის მატებას. მუხტვის ძალის დონე შესაძლებელია დადგინდეს სისხლის ანალიზით, ენერგეტიკულ ველებზე დაკვირვებით (როგორც ამას ჯონ პიერაკოსი აკეთებდა ნიუ იორკში) და შეიძლება შეფასდეს სუბიექტურად.

გ) ენერჯის მიმართულება, ან მერყეობა. ლოუენმა ცენტრიდან პერიფერიისკენ დინების გარდა, გრძივი პულსაციაც აღწერა (4) ვეგეტატიური ნერვული სისტემის დიდი პლექსის ენერჯის ცენტრებიდან სხეულის ბოლოებისკენ, სადაც ის შეიძლება დაგროვდეს მენჯის ორ დიდ რეზერვუარსა და თავში. ენერჯის მერყეობის დადამავალი მიმართულება უზრუნველყოფს მის დაცლას ფეხების და სასქესო ორგანოებიდან და ფეხებიდან, გრაუნდინგის მეშვეობით დამუხტვას. ხოლო ადამავალი მიმართულება უზრუნველყოფს კვების და სუნთქვის მეშვეობით დამუხტვას და ემოციური ექსპრესიისა და ენის მეშვეობით დაცლას (ხმოვანების ფუნქცია).

დ) ენერჯის შეკავება, ან ორგანიზმის საზღვრების ხარისხი. კუნთოვანი სისტემა იმპულსების ერთგვარ კონტინერების და გაშვების ფუნქციას ასრულებს. მუსკულატურის ტონუსი მიუთითებს რა დოზით ხდება დამაბვა და მოშვება იმპულსებს შორის;

ენერჯის მეტაბოლიზმის ოთხივე ასპექტი მეტად მნიშვნელოვანია ჯანსაღი განვითარებისთვის. ჩვილობის დამოკიდებული მდგომარეობიდან მოზარდის დამოუკიდებლობამდე განვითარებაც შესაძლებელია განხილული იქნას ოთხი ფაზის

ჭრილში, და ეს ფაზები მჭიდროდ არის დაკავშირებულია ზემოთ იყო აღწერილი ენერჯის ფუნქციების ასპექტებთან.

## ნაწილი 2: განვითარების ციკლი და პირველადი უფლებები

ცხოველთა სამყაროსთან მიმართებაში ადამიანის მომწიფება (განვითარება) დამოკიდებულებიდან სრულ დამოუკიდებლობამდე, ყველაზე ხანგრძლივი პროცესია. ჩვილს ფეხზე დასადგომად თითქმის ერთი წელი სჭირდება. ამის შემდეგ ის იწყებს ლტოლვას დამოუკიდებლობისკენ, რასაც 18 ან მეტი წელი სჭირდება. მომწიფება დ. ვინიკოტის შეხედულებებში მთავარი კონცეფციას წარმოადგენს. (3-4) არსებობს ოთხი აუცილებელი ნაბიჯი სიმწიფისკენ, რაც ყველა ძუძუმწოვარმა უნდა გაიაროს. პირველი ორი ნაბიჯი მშობლებზე დამოკიდებულებას ეხება და შემდეგი ორი, მათგან დამოუკიდებლობას.

1. დედის საშოში ზრდა. პრიმატებში, როდესაც ახლადშობილ ჩვილს საკუთარი თავის მოვლის უნარი ფაქტიურად არ გააჩნია, მისი დამოკიდებულება დედაზე, რომელიც ჯერ კიდევ საშოში ჩამოყალიბდა, დაბადების შემდეგაც გრძელდება; ჩვილი, რომელიც დედის არსებობაზეა დამოკიდებული, მის სხეულს ებღაუჭება. ამ პროცესს მიჯაჭვულობა ეწოდება. ჰარლოუს ექსპერიმენტები რეზუს მაიმუნებთან აჩვენებს, რომ მიჯაჭვულობის პირველადი ფუნქცია კვებაში კი არა, კანით შეხების კომფორტსა და თვალის კონტაქტშია. “ქცევის არცერთ ფორმას არ ახლავს ისეთი ძლიერი გრძნობები, როგორც მიჯაჭვულობას”- წერს ჯონ ბოულბი. (9)

2. ჩვილს ასევე ესაჭიროება სასიცოცხლო მხარდაჭერა რაც მისი გამოკვებით და ყველა იმ ქმედებით გამოიხატება, რასაც მოვლას ვუწოდებთ. დედის მხარდაჭერის გარეშე ბავშვი შეიძლება დაილუპოს, სანამ იმ ასაკს მიაღწევს, როდესაც დედის გარეშე შეძლებს გამოიკვებოს. მხარდაჭერისა და მიჯაჭვულობის პროცესებს შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს. ბავშვი შეიძლება ძლიერად იყოს მიჯაჭვული დედასთან, რომელიც მასზე ცუდად ზრუნავს; ასევე ბავშვი შეიძლება დაშორებული იყოს დედისგან, რომელიც ზრუნავს მასზე ფიზიკურად, თუმცა ემოციურ სიტბოს არ გამოხატავს.

3. პატარა ბავშვი საჭიროებს გამოკვლევის შესაძლებლობას; თუ მიჯაჭვულობის და მხარდაჭერის პროცესები კარგად ჩამოყალიბდა, იგი დედას შორდება რომ გამოიკვლიოს თავისი გარემო - ეს მისი სრული დამოუკიდებლობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. კვლევითი თამაშები ის ბაზაა, რომელიც ბავშვს საშუალებას აძლევს შეიძინოს ის უნარები, რაც მას საკუთარი არსებობის უზრუნველსაყოფად დასჭირდება. ადამიანებში ამ პროცესის წარმატებული გავლა, ზრდასრული ადამიანის წარმატებას და მუშაობით კმაყოფილებას განაპირობებს.

4. სოციალურ ჯგუფში არსებობს სხვებთან კავშირის დამყარების მოთხოვნილება. ის დამოკიდებულია წარმატებულ კომუნიკაციაზე, სხეულებრივი სიგნალების გაგებასა და ინტერპრეტაციაზე (ადამიანების შემთხვევაში ვერბალური). კავშირის ყველაზე ახლო ფორმები წყვილურ კავშირებში გვხვდება. ზრდასრულობის ყველაზე კარგი ინდიკატორი სწორედ სტაბილური სასიყვარულო ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარია. ეს კონტაქტები უზრუნველყოფს მშობლის ფიგურასთან მიჯაჭვულობის გადატანას პარტნიორზე, რაც თავის მხრივ შესაძლოა ახალი შთამომავლობის ციკლის საწყისი გახდეს.



# ეროგენული ზონები და ლიბიდინალური ეტაპები

განვითარების ოთხი ფაზა გარკვეულწილად უკავშირდება ფროიდის ლიბიდოს განვითარების სტადიებს. ისტორიულად, ოიდიპური კონფლიქტი გენიტალურ (სქესობრივი მომწიფების) პერიოდში პირველად ფროიდმა შეისწავლა. ეს კონფლიქტები სექსუალური კომუნიკაციის პრობლემებთან არის დაკავშირებული. მეორე პერიოდი რომელსაც ფროიდი იკვლევდა იყო ანალური პერიოდი 2 წლის ასაკის ირგვლივ. რაიხმა და სხვებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს ანალურ-ეროტიკული განვითარების ეტაპის არსებობა. მაგრამ თუ ანალურ პერიოდს შევხედავთ როგორც უხეშად დრო, როდესაც ბავშვი მოტორიკის კონტროლს იძენს სფინქსტერთან მიმართებაში, და დაისწავლა სიარული, უკვე ნათელია, რომ ეს განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდია. ეს ემთხვევა ჩემს მიერ აღწერილ გამოკვლევის ფაზას. ფროიდს სჯეროდა, რომ ორალური პერიოდი იყო ყველაზე ადრეული განვითარების ეტაპი. ჯონ ბოულბის კლასიკურ ნაშრომში მიჯაჭვულობის (9) შესახებ, მნიშვნელოვანი დისკუსიაა იმაზე, რომ ბევრი ფსიქო-ანალიტიკოსი ორალურ ფაზას ყველაზე საბაზისოდ მიიჩნევდა შეცდომით. ბოულბი მიუთითებს, რომ მელანი კლაინი თავის თეორიულ ფორმულირებებში, საკვების, ორალობის და დედის მკერდის ერთმანეთთან კავშირს დომინანტურად წინა პლანზე აყენებს. ის ასევე აკრიტიკებს ერიქსონს იმისთვის, რომ მის მიერ ასე ყურადსაღები საბაზისონდობა ორალურ პერიოდში ჩნდება. რენე შპიცციც ანალოგიურად გაკრიტიკებულია მისი მტკიცებულებებისთვის, რომ ნამდვილი ობიექტზე მიმართული ურთიერთობები კვებითი საჭიროებიდან ყალიბდება”. ბოულბის მიაჩნია რომ ყველა ეს ავტორი გარკვეულწილად ორალური თეორიის მძევალია, რომლებიც ორალური ფაქტორების მნიშვნელოვნებას გაზვიადებულად წარმოაჩენენ სხვა, პირველი წლის და მომდევნო პერიოდის მახასიათებლების საზიანოდ.

ჯერომ ლისი მის წიგნში ახალი თერაპიებზე, თავს “რატომ შეხება” იწყებს შემდეგი განცხადებით:

“ფროიდული თეორია ამტკიცებს რომ ორალური კვება ჩვილის და დედის ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომაც ეძახიან დაბადების პირველ ეტაპს ორალურ პერიოდს. ფროიდს არ შეუსწავლია უშუალოდ ჩვილები. მისი დასკვნები ეყრდნობოდა ზრდასრულ პაციენტებთან მისი მუშაობის გამოცდილებას. საღი აზრით, განა არ იტყვიტ რომ ფროიდი მართალი იყო? ბოლოს და ბოლოს, ჩვილის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი ხომ სწორედ შიმშილის დროს ტირილი და დაპურებით მიღებული სიამოვნებაა.

და მაინც, თუ ჩვენ ჯონ ბოულბის ბრწყინვალე და სრულყოფილ წიგნში მოყვანილ ჰარლოუს ექსპერიმენტული მუშაობის გამოცდილებას მოვიყვანთ, “მიჯაჭვულობა და დანაკარგი”, ტომი 1, ჩვენ დავინახავთ, რომ ფროიდი ნამდვილად ცდებოდა. ჩვილის ემოციური სიცოცხლე არ არის ისე დამოკიდებული პერიოდულ კვებაზე, როგორც ის შეხებაზეა დამოკიდებული. ჰარლოუს ექსპერიმენტი ჩვილ მაიმუნებზე ტარდებოდა (მადლობა ღმერთს), მაგრამ არანაირი საფუძველი არ გვაქვს ვივარაუდოთ რომ ეს შედეგები სხვანაირი იქნებოდა ადამიანების შემთხვევაში. (37)

რეიხი, ჰარლოუ, ბოულბი და სუტი ერთნაირად ხაზს უსვამდნენ კანის და თვალის კონტაქტის კრიტიკულ როლს ბავშვის ადრეული ცხოვრების ეტაპზე. ელსვორდ ბეიკერი, რომელიც რაიხის კვალს მიყვა, აღწერს მეოთხე ეროგენულ ზონას და ლიბიდინალურ ეტაპს: “მხედველობითი”(ოკულარული), რომელიც მიუხედავად იმისა რომ დროში ემთხვევა ორალურ ფაზას, უფრო ფუნდამენტალურია.

“გარდა ზოგადი სხეულის შეგრძნებებისა, მხედველობითი ზონა ჩვილის პირველი სპეციფიკური კონტაქტია გარე სამყაროსთან. ფაქტობრივად, ის ყველაზე შორი კონტაქტის დამყარების საშუალებად რჩება. თვალეზი ასევე პირველი ზონაა, რომელიც შეიძლება ტრავმირებული იქნას მშობიარობის დროს სამედიცინო პრეპარატების გამოყენებით, სიცივესთან შეხებით, შიშით და სიმულვილის გამომხატველობით. აგრესიული გამოხედვა წერტილს უსვამს თბილი და გულითადი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას. ზოგადად, განვითარებისთვის აუცილებელია სრულყოფილი კონტაქტი. ის ადამიანს უვითარებს კარგად ყოფნის შეგრძნებას, იმის შეგრძნებას რომ ის მიღებულია და მხარს უჭერს მის ექსპანსიას და გარემოსკენ მიმართვას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრძობითი (სენსორული) ორგანოების სათანადო განვითარებისთვის, რომლებიც კანის ან ექტოდერმისგან ვითარდება. ზოგადად, როდესაც დედასთან კარგი კონტაქტია, თვალეზი რჩება გაღებულ, გულწრფელი და ითხოვს, სერიოზულად მაგრამ მაღალი ნდობის ხარისხით. ჯანმრთელი თვალეზის შემთხვევაში, ვითარდება ბინოკულარული მხედველობა, რაც თავისთავად ეხმარება ადამიანს გარემოსთან კარგი კონტაქტის დამყარებაში და ინდივიდს საშუალებას აძლევს ადექვატურად ინტეგრირდეს გარემოსთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას შეუძლია საკუთარი ადგილი იპოვოს მის გარემოში, მიიღოს გარემოდან სიამოვნება და უპასუხოს გარემოს მიმღებლობას. თვალეზიდან წამოსული აღტაცება პირდაპირ სასქესო ორგანოებში სასიამოვნო აღელვებად შეიგრძნობა (3. 18-19).

საბოლოოდ, ოკულარული და ორალური ფაზები ერთსა და იმავე დროს აღმოცენდება, ისევე როგორც მიჯაჭვულობა და მხარდაჭერა. რაიხისა და მისი მიმდევრების მიერ დედასა და ბავშვს შორის ურთიერთობის უპირატეს მნიშვნელობის მინიჭება ორალური ურთიერთობასთან შედარებით, მთლიანად შეესაბამება თამამედროვე ეტოლოგიის კვლევის შედეგებს.

Free Article

## ეგზისტენციალური და ბიოენერგეტიკული აზროვნება

ფრენკ ლეიკმა ეგზისტენციალური თეოლოგიაზე დაყრდნობით განავითარა ფსიქიკური ჯანმრთელობის მოდელი, რომელიც 4 კომპონენტს მოიცავდა: “არსებობა”, რომელშიც ბავშვს, დედასთან ურთიერთობის გამოცდილებით უყალიბდება იდენტურობის გაგება; “კარგად ყოფნა”, რომელშიც მას უყალიბდება შეგრძნება რომ ის დაცულია და აქვს მხარდაჭერა; “მიღწევა” რომელშიც ის უნარების განვითარებით იღებს სიამოვნებას; და მეოთხე: სხვებთან უსაფრთხო ემოციური ურთიერთობით “პერსონალური სტატუსის” შექმნა. ეს ოთხი მდგომარეობა შეესაბამება მომწიფების იმ ოთხ ფაზას, რომლებიც ზემოთ აღვწერე და რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ლეიკის ქრისტიანული შეხედულებებით არ არის გამდიდრებული, მაინც ვალიდურია.

ლოუნმა (10) აღწერა ხასიათის დაცვითი მექანიზმები ხუთ ძირითად უფლებასთან მიმართებაში, რომელთა დარღვევა ხდებოდა დეფექტური აღზრდის გამო. ეს უფლებები როგორც ის აღწერს არის:

- 1) არსებობის უფლება, არსებობდე სამყაროში როგორც ინდივიდუალური ორგანიზმი. ეს უფლება ირთვება დაბადების პირველ თვეებში. ამ უფლებასთან ასოცირდება მიჯაჭვულობის შესაძლებლობა და დაკავშირებულია პირდაპირ თავისუფალი ენერჯის დინებასთან და სიმწიფის ციკლის პირველ ფაზასთან. ეს არის გამოცდილება რომ არსებობ და გხედავენ.

- 2) საჭიროების უფლება, რომელიც პირველ წლებში დედის მხარდაჭერისა და კვების ფუნქციიდან გამომდინარეობს. ეს უფლება დაკავშირებულია მუხტის შეგრძნებასთან და მხარდაჭერის პერიოდთან. ეს არის ქონის და დაგემოვნების გამოცდილება;
- 3) თავისუფლების უფლება - რომ არ ხარ სხვისი საჭიროებების სუბიექტი.
- 4) დამოუკიდებლობის უფლება - რომელიც ბავშვს უყალიბდება თვითმტკიცებისა და მშობლისთვის წინააღმდეგობის გაწევით. ეს უფლება ასოცირებულია თავისუფალი ენერჯის ცვალებადობასთან (რომელსაც ლოუენი ხედავს როგორც რეალობის მართვის ბაზისს) ,გამოკვლევის (ძიების) ფაზასთან და დამოუკიდებლობისკენ ადრეულ მოძრაობასთან. ორივე მოიცავს კეთების და ქმნის გამოცდილებას.
- 5) სურვილის უფლება- უფლება რომ ღიად და პირდაპირ მოძრაობდე საკუთარი სურვილების დასაკმაყოფილებლად. ამ უფლებას გააჩნია დიდი ეგო კომპონენტი და ბუნებრივი უფლებების ჩამოყალიბების ბოლო ეტაპია. მე ამ უფლების წარმოშობის და განვითარების პერიოდად 3-დან 6 წლამდე ასაკს მივაკუთვნებდი. ეს უფლება ბავშვის ადრეულ სექსუალურ გრძნობებს უკავშირდება. უფლება ასოცირებულია ბავშვის მიერ თავისი გრძნობების პირდაპირ კომუნიკაციის თავისუფლებასთან და უკავშირდება სიმწიფის მეოთხე ფაზას. ეს უფლება დამოკიდებულია დამატებით კუნთოვანი ტონუსის ცვლილებებთან და მოიცავს გაცემის და მიღების გამოცდილებას.

ნევროზი არის დარღვევა, რომელიც მოსდევს ქრონიკულ სტრესს. როგორც წესი, სტრესი ჩდნება ჩვილობის ასაკში, როდესაც ბავშვს არ აქვს უნარი ადვილად გაექცეს მას. ცხოველები არ ნევროზდებიან, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მათ აშინაურებენ და ზოოპარკში ამწყვდევენ.

ნევროზი არის მომწიფების პირობების ჩამოშლა, და საბაზისო უფლებების დარღვევა. ხასიათის დაცვითი მექანიზმები წარმოადგენს გადარჩენის და ზრდის გაგრძელების სასოწარკვეთილ მცდელობას, ამ უფლებების ხელახლა განმტკიცებას სხვადასხვა საშუალებებით. ეს მექანიზმები ორგანიზმს ლიმიტირებული ფუნქციონალობის საშუალებას აძლევს, რასაც ორგანიზმი მათ გარეშე გადატანილი ტრავმების პირობებში ვერ შეძლებდა. ეს არის გადაჯგუფების ოპერაციები, რომლებიც იცავს სიცოცხლეს.

ნევროზები შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ, განვითარების (მომწიფების) ოთხი ფაზის შესაბამისად. ვინაიდან, შესწავლის და ნორმალური კომუნიკაციის უნარები დამოკიდებულია ადექვატურ მიჯაჭვულობასა და მხარდაჭერაზე, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ნევროზები, რომლებიც გამოკვლევისა და კომუნიკაციის ფაზების ბლოკირებიდან გამომდინარეობენ, შეიძლება ეფუძნებოდეს გამოკვლევისა და კომუნიკაციის ფაზებში არსებულ ბლოკირებებიდან გამოწვეული წუხილების სუბ-სტრუქტურას. ეს არის რასაც ჩვენ ვაწყდებით. მიუხედავად დაბალი ალბათობისა, შესაძლებელია რომ პიროვნებას ჰქონდეს კარგი გამოცდილება პირველ ორ ფაზაში და ძირითადი ტრავმები მოხდეს ამ ორი ფაზის შემდეგ დამოუკიდებლობის ფაზისკენ მოძრაობის დროს. ზოგადად, ნებისმიერი ადამიანი დიდი ალბათობით აწყდება დისფუნქციას ოთხივე სფეროში სხვადასხვა ხარისხით. ხასიათის დაცვითი მექანიზმები გამოწვევებზე პასუხის უნივერსალური პატერნებია. ისინი ტკივილის ფერებია. თუმცა, თითოეულ პიროვნებას როგორც წესი გააჩნია დაფარული შესაძლებლობა თითოეულ ამ სფეროში, რომელიც კარგად დამალული დაუზიანებლად გადარჩება ხოლმე. სწორედ ეს დაფარული უნარი იძლევა თერაპიის შესაძლებლობას. ჩვენ პაციენტის ჯანმრთელობას ვიყენებთ იმისთვის რომ გადალახოს ავადმყოფობა. ამის გარეშე ჩვენ პათოლოგიაში ჩავრჩებოდით, რადგან არცერთ თერაპევტს არ აქვს უნარი გამოაჯანმრთელოს ადამიანი, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის გარდა არაფერი შეუძლია.



ჩვენ ახლა ვართ იმ პოზიციაში რომ შეგვიძლია შევხედოთ რა განსხვავებებია ლეივის და ლოუენის მიერ შემოთავაზებულ ხასიათის ანალიზის ვარიანტებს შორის. ლოუენი გამოარჩევს 5 ძირითად ხასიათის დაცვის პატერნს, საიდანაც ორი მიეკუთვნება მომწიფების ციკლის პირველ ნაწილს და სამი მეორე ნახევარს. ლეივი თავის მხრივ, ძირითადად თავის შრომას უძღვნის ციკლის პირველ ნაწილს და აღწერს 4 ძირითად პატერნს, რომლებიც ამ პერიოდთან არის ასოცირებული. მისი სამუშაო ამ ნაწილში უფრო დეტალიზებულია, მაშინ, როდესაც ლოუენი უფრო მეტ აქცენტს ციკლის გვიან ფაზებზე აკეთებს. ეს ორი ტიპის ხასიათის ანალიზი ერთმანეთის შემაჯავებელია და თანხმობაშია ერთმანეთთან.

შემდეგი სქემა აყალიბებს საფუძველს შემდგომი აღწერისთვის და აზუსტებს მას:

ენერჯის ფუნქცია	ზრდის ფაზა	ბაზისური ფუნქცია	ლოუენის ხასიათის ანალიზი / ხასიათის სტრუქტურა	ლეივის ხასიათის ანალიზი / ხასიათის სტრუქტურა	ლობიდანაღრი ზონები
დინება	მიჯაჭვულობა	არსებობა	მომოცდრი	მომოცდრისტერიული	მხედველობით
მზებ	მხარდაჭერა	დაცვობა	ონაღრი	პარანოლოღდერსიული	ონაღრი
მერყობა	გამოღვლივა	თავისფლობა და დამოუღებლობა	ფსიქობასტერი, მანობისტერი	სადამანობისტერი, ონსესიორ კონპულზიონდემყოღ	ანაღრი
ტრეპტი	კონტრაქცია	სწრაფობის ქონა	რიგდელი	სადამანობისტერი, ონსესიორ კონპულზიონ, დემოზი	გენიტორი

Free Article

### ნაწილი 3: მიჯაჭვულობა და სეპარაცია: იდენტურობისთვის ბრძოლა

ამ პერიოდში მთავარი სამყაროში არსებობის უფლებას: საკუთარი იდენტობის აღქმის ქონა. ჩვილს ესაჭიროება დედის კანთან ახლო კონტაქტი, რომელიც სამყაროსთან მისი ურთიერთობის საფუძველს ქმნის. შეხებით და შეხედვით, რომელიც ადამიანს აძლევს გამოცდილებას რომ ის დაინახეს მიღებული აღიარების გამოცდილება, აბსოლუტურად უყრის საფუძველს იდენტურობის განცდის მომწიფებას. ჩვილი საჭიროებს გამოცდილებას რომ მას გრძნობენ. დედა, რომელიც სიამოვნებას იღებს ჩვილთან ურთიერთობით, განიცდის სიხარულს იმით, რომ შეიგრძნობს მას, რომელიც თავის მხრივ მას გრძნობს. ანუ ორივენი ერთმანეთის შეცნობის სიამოვნებას განიცდიან. ასეთი კონტაქტი წარმოადგენს პერსონალიზაციის (პიროვნებად ჩამოყალიბების) ბაზას. ზრდასრულობაში მოსიყვარულე ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარი აბსოლუტურად ამაზეა დამოკიდებული. დედის მკლავებში მოქცეული და მის ორბიტაში მყოფი ჩვილი ასე სწავლობს და განსაზღვრავს საკუთარ საზღვრებს, საკუთარი თავის და სხვა ცოცხალი არსებასთან კონტაქტს და უყალიბდება შეგრძნება რომ ის ეკუთვნის სამყაროს.

მიჯაჭვულობის ყველაზე დიდი საფრთხე სეპარაციით და გარიყვით განადგურებაა. ჩვილი, რომელიც მოკლებულია ამ აუცილებელი კონტაქტის გამოცდილებებს, ცხოვრობს შიშისა და უიმედობის გაუსაძლისი შეგრძნებით. ეს არის მიტოვებულობის და იზოლაციის და სამყაროდან გარიყვის ფუნდამენტური შიზოიდური პოზიციის აგონია. სტრესის სიძლიერის ხარისხი განაპირობებს ორი ძირითადი დომინანტური ხასიათის თავდაცვითი მექანიზმებიდან რომელი განვითარდება ამ დროს, რაც გადაატანინებს



გაუსაძლის, რომ არ გაგიჟდეს. პავლოვმა განავითარა ტრანს მარგინალური სტრესინგის კონცეფცია, რომელიც ლეიკმა გამოიყენა ორ ძალიან კონტრასტული ხასიათის რეაქცია-პატერნებს შორის ფუნქციონალური გადაადგილების ასაღწერად: შიზოიდური და ისტერიული თვდაცვა, ორივე მიმართული დიდ შიშთან გასამკლავებლად. ტრანს-მარგინალური სტრესინგის კონცეფციის აზრი არის, რომ რეაქცია (პასუხი), რომელიც ადექვატურია გარკვეული დონის სტრესისთვის, რაღაც მომენტში შეიძლება გახდეს არასაკმარისი და როდესაც ატანის ზღვარი გადაიკვეთება, ამ რეაქციის საწინააღმდეგო სტრესის რეაქცია შედის ეფექტში.

მაგალითისთვის ავიღოთ ექსტრემალურ სიცივეზე, როგორც ფიზიკურ სტრესსზე რეაქცია. საწყისი რეაქცია არის კანკალი, რომელიც ააქტიურებს კუნთებს რომ გაათბოს სხეული და ადამიანი შეიძლება განზრახ მოძრაობდეს უფრო მკვეთრად, რომ გაუმკლავდეს სიცივეს. ის ეცდება ყველანაირად გაეცეს სიცივეს და იპოვოს სითბო.

ჩვენ შეგვიძლია სიცივიდან გაქცევის მზარდი მცდელობები აღვწეროთ როგორც მზარდი პანიკა სითბოს მიმართ. მაგრამ, თუ სტრესი ძალიან ძლიერია, რაღაც მომენტში ის გადაცდება ზღვარს, და სიცივით გათანგული ადამიანი, ხდება ნაკლებად აქტიური, მისი სხეული პერიფერიულად ბუჟდება და იყინება. სტრესის პირველ ეტაპზე, სითბოსა და ცეცხლის წყაროსკენ არის ძლიერი მიზიდულობა. მაგრამ სიცივეს შეჩვეული ადამიანისთვის, სითბოსთან სიახლოვე მწვავე ტკივილს იწვევს. ასე, რომ სიცივესთან ადაპტაციის რეაქცია შეიძლება შეიცვალოს სითბოსგან დაშორებით.

ეს მაგალითი შეიძლება გამოვიყენოთ ემოციური სიცივის ანალოგად, რომელიც ბლოკავს ბავშვის მიჯაჭვულობას. შიზოიდური ხასიათის დაცვითი რეაქცია ყალიბდება უფრო ღრმა დონის სტრესის შემთხვევაში ვიდრე ისტერიული დაცვითი რეაქცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი დაცვითი შინაარსობრივად ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ორივე მექანიზმი ცდილობს გაუმკლავდეს ერთი ტიპის საფრთხეს. შიზოიდური პიროვნება განიცდის არ არსებობის და უარყოფის ძლიერ შიშს, როგორც მწვავე ტერორს და მისი რეაქცია პარალიზებასა და ფუნქციების ფრაგმენტაციაში გამოიხატება. ისტერიული პიროვნება იგივე საფრთხეს განიცდის როგორც მწვავე ტკივილს, რომლისგანაც ის გარბის.

დეპერსონალიზაცია არის ორივე ხასიათის პატერნების ბაზად არსებული ფუძე, რადგანაც, ამ პერიოდის საბაზისო შიში - ეს არის ადამიანი არსებობის უფლების გარეშე. მაშინ, როდესაც შიზოიდი სწავლობს იცხოვროს დეპერსონალიზაციის მეშვეობით და ეს გამოიყენოს როგორც დაცვითი მექანიზმი სხვა ადამიანების მხრიდან წამოსულ სტრესთან გასამკლავებლად (ცივი ადაპტაციის ფორმა), ისტერიული გაურბის დეპერსონალიზაციას. მისი ყველა დაცვითი მექანიზმი, დეპერსონალიზაციის თავის არიდების მცდელობაა.

## ფუნქციური იდენტურობა და ანტითეზისი

ფრანკ ლეიკის წიგნში (6) შვიდი გვერდი ეძღვნება შიზოიდურ და ისტერიულ რეაქციებს შორის სხვაობებს. მე მათგან რამოდენიმე შევარჩიე. ისინი რაიხის ფუნქციური იდენტურობის და ანტითეზისის კარგი ილუსტრაციაა:

ისტორიული რუკის	პროექტული რუკის
პროექტული რუკის: ელვა ადმინისტრაციის და სამხარისო მინისტრის	პროექტული რუკის - გადგება ადმინისტრაციისგან და მატერიალური საბაზისიდან
ექსპლუატაციის და დაცვის რუკის მოგვლელის საპროექტული (ადმინისტრაციის ან საგნების მინისტრის)	ინჟინერის, დაცვის რუკის კავშირის გაწვევით ადმინისტრაციის და საგნების
სტრატეგია იწვევს შიშს; შიშს რაც ყურადღებას არ აქცევენ	პასუხისმგებლობის აღმა იწვევს შიშს; შიშს რაც ყურადღებას აქცევენ
შეხვედრის მიზნით: ძალის სკოლაში ჩახვედრა	შეხვედრის მიზნით; არ უყვარს ჩახვედრა და უფრო სისხლი;
სამხრეთის ილმს ექსპლუატაციის მოვლელთა გაწვევით მომხმარებელი	მომხმარებელი უფრო დამცველობით ხასიათს აქვს: ინჟინერი, იქნებინა, თვის ხელში უჭირავთ
უკონტროლებელი, სკოლაში სოციალური აქტიური ცხოვრება	არაკონტროლებელი, ესკოლაში დღე, უსაფრთხო და ადმინისტრაციისგან თვისუფრო სივრცეში.
როგორც იტყვება, ქმნის საკუთარ ავტორიტას	განმარტოვება რომ იტყვას მარტოში
მიღს ხელს, რომ შეასრულს მინაგანი სივრცე	მინაგანი სივრცეს წინების კიბით ან სხვა მენტალური საკმარისით იღებს
სამხრეთის ილმს საგნობით	საგნობა იტყვას, უყვარს სივრცე
განმარტოვება პატარა სივრცეში	განმარტოვება - ცხოვრების ახალ ევრდს დიქცია
ფრმობის მფრმობის ხასიათს აქვს	გაქცევისკენ მიდრეკილება, ფრმობის დატყვას
მატერიალის კონტროლი მომხმარებელი	კონტროლი მომხმარებელი არ მიიქცის ყურადღება
ტენსიონის იქნება დიქციის მფრმობის მოსაგებად და იმისთვის რომ ახალსაფრდს გამოეყურებოდეს	ტენსიონის იქნება რომ დამალს საკუთარ სქესი და ხაზს გატყვას ასაკს

## ყურება და ხედვა

ელსვორტ ბეიკერი ანსხვავებდა ოკულარულ რეპრესიულ ხასიათს, რომელიც შეესაბამება შიზოიდურ დაცვით მექანიზმს, და ოკულარულ დაუკმაყოფილებელს. მეორე კატეგორიის მისი ერთადერთი მაგალითი არის “თვალთვალი”. მოთვალთვალე, შეიძლება დავინახოთ როგორც კონტაქტზე მიჯაჭვულობის ისტერიული საჭიროების განსაკუთრებული შემთხვევა. იმის გამო, რომ უფრო პირდაპირი სექსუალური კავშირების დამყარების უნარი მასში დათრგუნულია, მოთვალთვალე კონტაქტს ცდილობს თვალებით. ნუდისტური ჟურნალების ფართო გავრცელებაც ალბათ თვალთვალის ტენდენციის გავრცელებას კარგად ადასტურებს. ლიბიდინალურ ფანტაზიას ლეიკი აღწერს როგორც ისტერიული ლტოლვის პოზიციის ინტეგრალს:

“ყველა პირადი სიკეთე, რასაც ის იღებდა დედის სხეულიდან, მისი სავსე მკერდიდან, მისი მრგვალი და ნაზი კიდურებიდან, მისი ნაზი შეხებით, გადასარევი სუნებით, მან დაკარგა. მაგრამ ვერასოდეს ვერ შეეგუა ამ დანაკარგს. მას ფიქსაცია დაემართა. მისი გონება სასურველი ობიექტების ნახატებით არის სავსე. ეს პირადი გალერეა ყოველთვის ღიაა მარტოსული ადამიანისათვის. ქუჩაში მოსიარულე ეს ადამიანი, თითქმის ქვეცნობიერად წარმოიდგენს ამ ნახატებს. მისი თვალები მწერის თვალებს წააგავს: რომლებიც გრძელი და მოქნილი ანტენის ბოლოში მყოფნიც კი ძალიან მგრძობიარე არიან მათთვის სასურველი ფორმის მიმართ, რაც არ უნდა შორის იყოს ობიექტი. “ (6, გვ 372)

მაშინ, როდესაც ნამდვილი ისტერიკი სავარაუდოდ იპოვის გზას რომ მოიპოვოს მისთვის აუცილებელი კანის კონტაქტი, მოთვალთვალეს უწევს დაკმაყოფილდეს თვალებით შეხებაზე. როდესაც გოგონა ფოტოზე მას უყურებს, ის ამით იკმაყოფილებს მიღების საჭიროებას, თუმცა ნამდვილი თვალის კონტაქტი გოგონასთან მისთვის ზედმეტად მაღალი მუხტია და დისკომფორტს უქმნის. (როგორი სამარცხვინოა მოთვალთვალისთვის გასაღების ნახვრეტში რომ გაიხედავს და იქიდან თვალი რომ დახვდება). თვალთვალის (ვოიერიზმის) კულტურალური მნიშვნელობა კარგად დაინახა ჯონ ბერგერმა, რომელიც თავის წიგნში აღწერს დანახვის გზებს, და იმას, თუ კონკრეტული დანახვა როგორ აქცევს ადამიანებს ობიექტებად.

“იყო შიშველი ნიშნავს იყო საკუთარი თავი. იყო შეუმოსავი, ნიშნავს სხვა გხედავდეს შიშველს, მაგრამ არ იყო შეცნობილი. შიშველი სხეული სხვისი დანახვით ხდება შეუმოსავი. ობიექტის დანახვა იწვევს მისი, როგორც ობიექტის გამოყენებას. სიშიშველე ამჟღავნებს საკუთარ თავს. გახდილობა (შეუმოსაობა) საჩვენებელია. სიშიშველე ნიშნავს შეუნიღბავად ყოფნას. გახდილობა ნიშნავს მხოლოდ საკუთარი კანისა და თმის სამოსელით დაფარვის შესაძლებლობას. სიშიშველე შეუმოსაობისთვის არ არის განწირული. შეუმოსაობა არის ჩაცმულობის ფორმა. (17. გვ 54)”

“თუ ეგზიზიციონიზმი არ არის დათრგუნული ისტერიკში, მაშინ ის იდენტიფიცირდება ნიღბთან. ამ შემთხვევაში ზედაპირული კონტაქტი ღრმა კონტაქტის და ნამდვილი შეცნობის დანაკლისის კომპენსირებას აკეთებს (ისევე როგორც ზედაპირული სექსუალური აქტიურობა შეიძლება იყოს ძლიერი სექსუალური გრძნობებისგან დამცველი მექანიზმი).”

მაშინ, როდესაც შიზოიდ ადამიანს უვითარდება “შინაგანი ხედვა” და შეუძლია დანახვა, მაგრამ არ იყურება და არ უნდა რომ უყურონ, ისტერიულ პიროვნებას უვითარდება “გარე ხედვა” და შეუძლია იყუროს, მაგრამ ვერ დაინახოს.

Free Article

## ორი ტიპის გაყოფა

ის ძირითადი გამოცდილება, რომელიც საფუძვლად უდევს შიზოიდური და ისტერიული პოზიციების ჩამოყალიბებას, არის გაყოფა (ან ფრაგმენტაცია);

შიზოიდი ადამიანი თითქოს ყინულმა გაყო: დედა როგორც წესი ცივი და სიძულვილით სავსეა, თუმცა ეს სიძულვილი დამალული და ღრმად დათრგუნულია. ისტერიული ადამიანი თითქოს ელვამ გაყო: დედა როგორც წესი გაცხარებული და გაბრაზებულია რაც ხშირი მრისხანებით გამოიხატება. შეუძლია მკვლელი თვალებით შეხედოს ბავშვს.

შიზოიდური და ისტერიული დაცვის მექანიზმები ერთმანეთის შიდა და გარე მხარეა. შეგვიძლია ვთქვათ რომ ისტერიკი ცეცხლივით არის, მას აქვს აალებადი ხასიათის დაცვითი მექანიზმი, რაც საშუალებას აძლევს გადაურჩეს საშოში და გულში დაბუდებულ ყინულს. ბერძნული სიტყვა “ჰისტერონი” ნიშნავს საშვილოსნოს. იყო თეორია, რომ ისტერია დაკავშირებულია “საშვილოსნოს გაგუდვასთან” - შეკავებული ცხოველური საწყისი, რომლის გამოთავისუფლება სექსუალური ურთიერთობით შეიძლება. ისტერიული პიროვნება მთელ თავის ენერგიას მიმართავს სიცოცხლის და ახალგაზრდობის შენარჩუნების სასოწარკვეთილ მცდელობებზე, რითიც ის უმკლავდება შინაგანი კვდომის შეგრძნებას, შიზოიდური შიშიდან გამომდინარე. მეორეს მხრივ, შიზოიდური პიროვნება ყინულს ემსგავსება - მთელი მისი პერიფერია გაყინულია და ბარიერის როლს ასრულებს,



რომლის სიღრმეშიც მას შეუძლია დარჩენილი სითბო შეინარჩუნოს. შიზოიდური კედლის მიღმა ხშირად ძალიან ვნებიანი, ცეცხლოვანი ნატურაა, რომელიც შეშინებული ელოდება როდის გაანადგურებენ მას, ან თვითონ როდის გადაიქცევა მრისხანების ცეცხლად.

სწორედ აქედან იბადება ტიპური ღამის კომმარები: გაყინული უდაბნოები და არქტიკული ნარჩენები - ძირითადად გაყინვით სიკვდილი ან ნელი განადგურება. მაშინ, როდესაც ისტერიულ პიროვნებას ტანჯავენ სიზმრები ატომურ ბომბებზე, თეთრ აფეთქებებზე, ცეცხლით სიკვდილი ან მოულოდნელი კატასტროფები.

ამ ყველაფრიდან გამოდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტერიულ პიროვნებასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია ის სიკვდილს და მარტოობას შევახვედროთ, რომლისგანაც მუდმივად გარბის. შიზოიდურ პიროვნებასთან მუშაობაში მნიშვნელოვანია დავეხმაროთ მას კონტაქტების არხების გახსნასა და აწყობაში, რითიც გზა მიეცემა მის აქტიურ, სასიცოცხლო ძალას. როგორც კი ის თავს უკეთესად იგრძნობს, ის შეიძლება უფრო ისტერიულს დაემსგავსოს. ამ ტიპებისთვის თერაპია ხდება ეგზისტენციალური საკითხი, რადგან ორივე შემთხვევაში საქმე არსებობის უფლებაზე მიყენებულ ტრავმას ეხება.

## ისტერიული გაქცევა

თუ ისტერიული პრობლემის ეს საფუძველი სწორია, მაშინ როგორ ხდება რომ ისტერიას აღწერენ როგორც ოიდიპურ პრობლემას და ისტერიულ ხასიათს ლოუენი რიგიდულ კატეგორიას მიაკუთვნებს? ფაქტი ის არის, რომ ყველა რიგიდული ნევროზი შესაძლოა ფუმეში მოიცავდეს შიზოიდურ პოზიციას, როგორც ლოუენი გადმოსცემს წიგნში "სხეულის ღალატი". ისტერიული პიროვნების გენიტალური კონფლიქტები და მათთან დამოკიდებულება ბევრ მწერალს აქვს აღწერილი. ისტერიულ პიროვნებას როგორც წესი ორმაგი იმედგაცრუება აქვს გადატანილი: ეს არის მამის მხრიდან უარყოფა, რაც ქმნის სპეციფიკურ ემოციურ მიქსტურას: რისხვა, რომელიც სურვილით არის დაბლოკილი და სურვილი, რომელიც მრისხანებით იბლოკება. ამას ლოუენი ფანტასტიურად აღწერს. მეორეს მხრივ ამ უარყოფის მიღმა არადაძაქმყოფილებელი დედისგან გამობრუნების და უფრო საიმედო და სასურველი ფიგურის მიმართ მიჯაჭვულობის უიმედო საჭიროება იმალება. ისტერიული ბლოკები სექსუალურ ურთიერთობაში, თავის მხრივ ზევიდან ედება საბაზისო ნდობისა და კონტეინირების ტრავმის სუბსტრუქტურას (ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ).

როგორც ლოუენი წერს, თუ ბავშვის საჭიროებები ინტიმურობაზე, სხეულებრივ კონტაქტზე და ორალურ ეროტიკულ სიამოვნებაზე არ კმაყოფილდება მისი სიცოცხლის პირველ წლებში, ეს საჭიროებები გარდაიქმნება სექსუალურ გრძნობებში, რომლებიც ოიდიპულ პერიოდში ყალიბდება. საწინააღმდეგო სქესის მშობლის მიმართ სექსუალური მიჯაჭვულობა დამუხტულია ჩვილობის დროინდელი დაუკმაყოფილებელი ლტოლვით ინტიმურ კონტაქტზე. (7 p.118)

ისტერიულ ადამიანს სექსუალობისკენ ორი ძალა უბიძგებს: ადამიანის მიმართ ლტოლვის იმპულსი რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ის სითბოთი და ახლო კონტაქტით, და ტანჯვისგან და მწუხარებისგან გაქცევა. მაგრამ ეს ორი იმპულსი ერთმანეთს ეწინააღმდეგება. გულითადი და ღრმა ურთიერთობა მისთვის ნიშნავს სხვა ადამიანზე დამოკიდებულებას, რომელსაც შეუძლია ის მიატოვოს, ან კვლავ ტკივილი მიაყენოს. ასე, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანის შეხება ძალიან მნიშვნელოვანია, უფრო ღრმა კავშირი სხვა ადამიანთან დიდი რისკის მატარებელია. ვინ შეძლებს დაამშვიდოს

ისტერიული ადამიანი ღამის ბნელ საათებში როდესაც ის, მამაკაცთან ურთიერთობაში, რომელთანაც საკუთარი ნებით მივიდა სიმშვიდის და სითბოს მოსაპოვებლად, განიცდის შფოთვის ორგანოებზე პიკს? ორგანოს რაიხი ხედავდა როგორც სიკვდილის და საკუთარი იდენტურობის დაკარგვის შიშს.

ისტერიული ადამიანი ცხოვრობს ცეცხლსა და ყინულს შორის განლაგებულ საომარ ველზე. თუ ის საკუთარი სიცოცხლის იმპულსის და კონტაქტის საჭიროების წინააღმდეგ ძალიან აქტიურად წავა, როგორც ამას აკეთებდნენ ფროიდის დათრგუნული პაციენტი ქალბატონები ვენიდან, ყინული იწყებს გააქტიურებას. სხეულის ნაწილები ხდება ენერგეტიკულად უმოძრაო, დუნდება რომ წაშალოს შეგრძნებები და წარმოქმნას ისტერიული ანესთეზია, ან გააქროს მოძრაობა და წარმოქმნას ისტერიული პარალიზი. როგორც ლოუენი უსვამს ხაზს, იმ ასაკში, როდესაც პერიფერიული სექსუალობის გამომჟღავნებას საზოგადოება უფრო მეტად იღებს (ან პირიქით, მიესალმება), ასეთი კონვერსიის სიმპტომები ნაკლებად ვლინდება. მაგრამ ისტერიული პიროვნება, რომელიც ამ გზებით არ უმკლავდება საკუთარ პრობლემებს შესაძლებელია მუდმივი შინაგანი ტანჯვის ქვეშ იმყოფებოდეს. მისი სხეული, თუ კონვერსიის რეაქციებით გაყურებული არ არის, აქტიურად იწყებს გაპროტესტებას.

საღმის კუდიანების სასამართლოზე ისტერიული ტანჯვის ტკივილს და წამებას ემშაკის მოქმედებას მიაწერდნენ. თუ გოგონები არ გაამჟღავნებდნენ საკუთარ მწუხარებას და გამოტყდებოდნენ ემშაკთან კავშირში, მათ წვავდნენ კოცონზე როგორც ჯადოქრებს. ნებისმიერი, ვინც როდესმე მოწმე გამხდარა როგორ ამოდის ეს ბაზისური ტანჯვა თერაპიის დროს ზედაპირზე, შეიძლება გაამართლო რომ ისტერიული ადამიანი ემშაკით შეპყრობილი ეგონა. ზოგჯერ ასეთ დროს თითქოს სხეული საკუთარ ცეცხლში იწვის. თუ ეს სერიოზული ავტონომიური სიმპტომები დათრგუნულია, და ხშირად ასეც არის (იმიტომ რომ მთელი ისტერიული ნევროზი ფაქტიურად მათგან გაქცევის მცდელობა და ამ პანიკური ენერჯის სოციალიზაციაა), მაშინ თერაპევტმა შეიძლება აღმოაჩინოს რომ ის შიში და კომმარი პროექტირებას ახდენს გარე ობიექტებზე ფობიების სახით, და ამ შემთხვევაში ობობები, მოტოციკლეტები და სხვა საგნები ხდებიან საფრთხის წყარო. ეს შიშები ფობიების წყაროა და მათ კვებავენ და ასევე შესაძლებელია მთელი სიძლიერით დაბრუნდნენ ღამის კომმარებში ნგრევისა და კატასტროფის სახეებით.

ლეიკი წერს, რომ მაქსიმალური შიში მჭიდრო კავშირშია შეშინებული ადამიანის ნებისმიერ მოძრაობასთან ერთი ნაბიჯით შორს ყურადღებიანი ადამიანისგან, ან ნებისმიერი სიტუაციისგან სადაც უსაფრთხო ადგილის განცდა შეიძლება ჰქონოდა. უსაფრთხო სივრცის მიმართ მოძრაობის დარღვევა იწვევს მეორად მიჯაჭვულობას ობიექტების მიმართ, რომლებიც შედეგად მიჯაჭვულობის ობიექტებად გადაიქცევიან. ეს იმის გამო ხდება, რომ როდესაც ბავშვს მთლიანი ადამიანის განცდა არ შეუძლია, ის უხმობს ფანტაზიას და თავის წარმოდგენებში აკავშირებს საკუთარ თავს საკუთარი სხეულის ცალკეულ ნაწილებთან ან სხვა ადამიანის სხეულთან, ან ასოცირებას აკეთებს მისთვის სასურველ ადამიანთან. არსებობს ვნებიანი მიჯაჭვულობა ცალკეულ ობიექტებთან, რომლებსაც ლაფლინი სოტერიას ეძახდა. ამ ობიექტებისგან დაშორება ირაციონალურ შიშს, ან ფობიას იწვევს. სხვა ობიექტები ასოცირებული არიან ჩვილისთვის საშიშ გამოცდილებებთან და ისინი არაპირდაპირ ხდებიან ფობიური რეაქციის ცენტრი. თუ პაციენტს შეხვდა ეს შემაშინებელი ობიექტები, ის მათგან ეცდება გაიქცეს და თუ გაქცევა არ გამოდის, მაშინ გაშეშდება ერთ ადგილას. (6)

“სოტერია” კომფორტის წყაროებია, რომლებიც ადამიანს პანიკისგან იცავენ. მაგალითად, რბილ დათუნასთან ან სხვა რბილ სათამაშოებთან ჩახუტება ღამის კომმარებს კარგად შველის. ზრდასრულმა ისტერიულმა ადამიანმა, ვისთვისაც კომფორტის მომტანი

ფიგურები ჩვილობაში ტკივილის ან არყოფნის წყარო გახდნენ, შესაძლოა დაცულობა საყვარელ ადამიანში ან მისი სხეულის რომელიმე ნაწილში იპოვოს. მამაკაცის სასქესო ორგანო შესაძლებელია გახდეს სოტერიალური ობიექტი, რომელსაც შეიძლება მოებლაუჭო როგორც შიშის საწინააღმდეგო თილისმანს. თუმცა, თუ თილისმანი არ მუშაობს და ისტერიული ღამის კომმარები გრძელდება, ადამიანი იწყებს უფრო სანდო კონტაქტის / წყაროს ძებნას. ისტერიულ ადამიანს ყველაფერზე მეტად ამ ხაფანგიდან გამოსასვლელად სჭირდება დასაყრდენი ადამიანები, ვისაც შეუძლია ნორმალური ურთიერთობის, სითბოს და კონტეინერების უზრუნველყოფა და ვისი მხარდაჭერითაც ის თამამად შეხვდება თავის შიშებს, რომლებიც განაც მთელი ცხოვრება ცდილობს გაიქცეს. აქ არ ვგეგმავთ ავღწეროთ ის სირთულეები და სიკეთეები რაც ისტერიულ ადამიანთან თერაპიულ მუშაობას ახლავს.

## შიზოიდური პარალიზი

შიზოიდი პიროვნების ღამის კომმარი მას ლეიკის სიტყვებით, სამხრისი გაყოფის პარალიზში აგდებს. (11) სხეული და გონი გაყოფილია, და შესაბამისად შიზოიდი ადამიანი ცხოვრობს დეპერსონალიზაციის ჩრდილში. ისტერიული ადამიანი ძირითადად ახერხებს რომ აიცილოს თავიდან მსგავსი გამოცდილება. ორგანიზმი გაყოფილია ორ ნაწილად: ერთის მხრივ ტერორი, რომელიც ყინავს და კეტავს ენერჯიას, სასიცოცხლო გრძნობებს ბოთლში ამწყვდევს და სხეულის სტრუქტურას კუმშავს და მეორეს მხრივ მრისხანება, რომელიც მზადაა დესტრუქციულად, აფეთქებიტ ამოხეთქოს, მაგრამ ტერორი აკავებს. აქვე არის გაყოფა საკუთარ თავსა და გარე სამყაროს შორის, რაც იწვევს მთელ რიგ “თითქოს” ტიპის ურთიერთობებს. სპეციფიკური შიზოიდური დაცვითი მექანიზმი უკონტაქტო ყინული-უდაბნოს იზოლაციისგან, რომელიც მის მიერ სამყაროს აღქმის პირველი გამოცდილებაა, სხვადასხვა ფორმებს იღებს.

შიზოიდური დეპერსონალიზაცია, როგორც წესი მინიმუმ სამი ტიპის თვითაღქმის დეფორმაციას იწვევს: “წმინდანი”, “დემონი” და “რობოტი”. “წმინდანის” თვითაღქმაში შიზოიდი მისტიკური იდენტიფიკაციის საზღვარზეა. ეს ადამიანი სიკვდილს და სიცოცხლის შიშს საფლავის იქით უკეთესი ცხოვრების იმედს უპირისპირებს. წმინდანს მოჩვენებისმაგვარი, თბილი სისხლისგან დაცლილი სხეული აქვს. სულიერება და სენსიტიურობა ცოცხლობს მხოლოდ ნაწილობრივ განსხეულებულ ფორმაში. მას შეუძლია ხალხზე ირიბი ზეგავლენის მოხდენა, მაგალითად ტელეპატიით. ამ გზით მას შეუძლია კარგი გააკეთოს სამყაროსთვის. მაღალი იდეალები და პოზიტიური მიზნები შიზოიდს აძლევს გარკვეულ თვითპატივისცემას, რითიც უმკლავდება არ არსებობის სასოწარკვეთილ გრძნობას. გარკვეულწილად, შიზოიდი ცხოვრობს კიდევ საფლავს მიღმა, რადგანაც ის იქცევა ისე თითქოს მისი სხეული ნაწილობრივ უკვე მკვდარია. ის თითქოს გრძნობს სხეულის იქით არსებობას. ბევრი დიდი მისტიკი სწორედ შიზოიდური ფუძიდან წამოვიდა, რაც ამ ადამიანების ღირებულებას მისტიციზმში არანაირად არ აკნინებს, უბრალოდ ხაზს უსვამს დემატერალიზაციის ხარისხის მნიშვნელობას.

წმიდანს საკუთარი არსებობა შეინარჩუნოს მხოლოდ დემონური ხატის უარყოფით შეუძლია, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს მის ტანჯვას. სამწუხაროდ ღვთებრივი და დემონური ერთი მონეტის სხვადასხვა მხარეებია; მოჩვენებები და დემონები ერთსა და იმავე ღამის კომმარებს სტუმრობენ. დათრგუნული ვნება და მრისხანება რომლებიც შიზოიდური სტრუქტურის სხეულის ღრმა ფენებში დელავენ, ხანდახან შეიძლება გაყინულ ზედაპირზე ამოვიდნენ და ბოროტი ზრახვების, დემონური აზრების და ფეთქებადი ქცევების სახე მიიღონ.



თუ დემონური იმპულსები შიზოიდი პიროვნების ცხოვრებაში აქტიურია, ჩვენ საქმე გვაქვს მკვლელი მრისხანებით აღვსილ შიზოიდურ პსიქოპათთან, რომელიც რეალობაში ვულკანივით ამოხეთქავს ამ “ვითომ” რეალობაში. უფრო ხშირად კი, ეს დემონური ნაწილი არ ვლინდება, მაგრამ შიზოიდ პიროვნებას ფანტაზიებში დასდევს. იმის გამო, რომ ცენზურა როგორც წესი უფრო მოშვებულია ხელოვნებაში, ჩვენ გვინახავს ბევრი მაგალითი თუ როგორ მქლავნდება დემონური შიზოიდური ფანტაზია სცენაზე თუ ეკრანზე, თუმცა აქ არ განვიხილავ ცენზურის უადგილობას თუ საჭიროებას.

ხშირად დემონური კარგად დამალულია და მხოლოდ ნაწილობრივ ვლინდება, როგორც ლოუენი აღწერს სპეციალურ თავში დემონებსა და მონსტრებს. მსგავსი დემონური გამოვლინებები შეიძლება იყოს საკუთარი შვილების მანიაკალური დევნის გამომწვევი, რაც როგორც წესი შენიღბულია ხოლმე კეთილი სურვილებით (შატცმანი)(13)

მესამე ძალიან გავრცელებული შიზოიდური იმიჯი და სხეულის სტრუქტურა არის “რობოტი”. რობოტი არის მექანიკური ადამიანი, გაურჩეველი ემოციებით, რომელმაც სამყაროში სისხლისა და ხორცის გარეშე ფუნქციონირების გზა იპოვა. ბევრი შიზოიდი ადამიანი აღფრთოვანებულია მანქანა-დანადგარებით, კომპიუტერული ტექნიკით და ელექტრონული მოწყობილობებით (თუმცა თუ მათ პარანოიული გამოხატვაც ახასიათებთ, ეს ობიექტები შეიძლება დევნის ობიექტებიც გახდნენ), დიდ აქცენტებს აკეთებენ ინტელექტზე და უმაღლეს ფსიქიკურ პროცესებზე, რაც დაკავშირებულია სურვილთან გადაუსწრონ კომპიუტერის კომპლუსიურ სიზუსტეს და უპირატესობას. შიზოიდი პიროვნების გრძნობები შესაძლოა ძალიან დათრგუნული იყოს, სხეული შესაძლოა მექანიკური იყოს, თუმცა მისი ცივი გონება თვითშემეცნებას სუსტად მაგრამ ინახავს. ეს მას საშუალებას აძლევს რომ დაინახოს არ არსებობის შავი სპირალი საკუთარ ფეხებთან და მასში არ გადაეშვას.

ლოუენი წერს, “ჩემს ოფისში, კლინიკურ სემინარს ესწრებოდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ფიზიკურად ძალიან წააგავდა ფრანკენშტაინის მონსტრს. მას ჰქონდა იგივე მკვეთრი, მექანიკური სიარულის მანერა, ოთხკუთხა მხრები, ღრმად ჩამჯდარი უსიცოცხლო თვალები და ფილმებში რომ გინახავთ, მსგავსი მონსტრის გამომეტყველება”. რობოტის ამ გარეგანი სახის მიღმა, ნაზი და შეშინებული ბავშვი იყო, რომელმაც რადაცნაირად განივითარა ასეთი გარეგნობა რომ თავი დაეცვა უხეში სამყაროსგან”. (7 p.147)

მე არაფერს ვიტყვი შიზოიდური ტანჯვის მკურნალობასთან დაკავშირებით. სითბოსკენ ხიდის აშენება ადვილი საქმე არ არის, თუმცა ლოუენიც და ლეიკიც აღწერენ ენერჯიას, რომელიც შიზოიდს შეუძლია მოიტანოს თერაპიაში საკუთარი თავის სამკურნალოდ, თუ მან ირწმუნა, რომ თერაპევტი გულწრფელად ცდილობს დაეხმაროს. გარკვეულ შემთხვევებში, შიზოიდი პიროვნება უფრო ადვილად მისაწვდომია ვიდრე უფრო მჭიდრო ფენებიანი ნევროზული პატერნების მატარებელი პაციენტები, რადგან ის უფრო ახლოს არის საკუთარ სირთულეებთან. შიზოიდური პიროვნების მკურნალობის ზოგიერთი ასპექტი აღწერილი მქონდა სტატიაში “გაყოფილი სხეული” (14) ჟურნალში “ენერჯია და ხასიათი”, სადაც კიდევ რამოდენიმე სხვა შიზოიდურ პრობლემაზეა ყურადღება გამახვილებული.

## ნაწილი IV მხარდაჭერა და შეზღუდვა: კვებისთვის ბრძოლა

ბავშვი არსებობის, იდენტიფიკაციის ადამიანური ბუნების შესახებ შემეცნებას თავისი ცხოვრების პირველ წლებში ეზიარება და მის მიჯაჭვულობის გამოცდილებაზეა დამოკიდებული. მაგრამ ამავე დროს ამ პერიოდში ის სრულიად დამოკიდებულია დედის მიერ მის გამოკვებაზე, მოვლაზე და ორალურ დაკმაყოფილებაზე. კარგი დედა არა მარტო ადასტურებს ბავშვის თვითშემეცნებას შეხებით, ყურებით, არამედ მას უზრუნველყოფს რძით საკუთარი სხეულიდან ან შემცვლელით. მიჯაჭვულობის ფაზაში აქცენტი კეთდება დედის მკლავებში ყოფნის და თვალის კონტაქტის კონტინენტების ფუნქციაზე, რომელიც საშვილოსნოში ყოფნის მოგონებას ამყარებს. მაგრამ, საკვების მიღებით ბავშვი ხდება კონტინენტი, ხოლო დედა მისი შიგთავსი, რადგანაც ის სვამს მას, ან იმას, რასაც დედა აძლევს. პრობლემები ამ ეტაპზე დაკავშირებულია ცხოვრების გემოსა და შესაბამისად შინაგანად კარგად ყოფნის შეგრძნებაზე.

ბიორნ კრისტიანსენი (15) როგორც წერს, “სწავლის პროცესი უნდა განვითარდეს იმისთვის, რომ წოვა იყოს სიამოვნების მიმნიჭებელი და თუ სწავლის პროცესი არ მიდის, იმის გამო რომ რძე არასაკმარისია, ან ბავშვს იმაზე მეტს აწვდიან ვიდრე მის გადამუშავების სისტემას შეუძლია მიიღოს, ან კვება ხდება კონკრეტული რეჟიმით, რომელიც თანხვედრაში არ არის ჩვილის საკუთარ რიტმთან და ან კვების პროცესი ხდება მოუსვენრობის, გაღიზიანების და უარყოფის გარემოში, ჩვენ ვხვდებით შემდგომი განვითარების სხვადასხვა ვარიანტებს. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტია, რომ ამ გამოცდილებაზე რეაქცია სხვადასხვა გზით გააგრძელებს თავის შეხსენებას. არსებობს ის ვარიანტიც, რომ მუდმივი დაუკმაყოფილებლობა მიგვიყვანს ჩვილის პოსტურალურ ცვლილებებამდე, რომლებიც მას დაეხმარება განმეორებად გამაღიზიანებლებთან გამკლავებაში. კრისტიანსენი გამოარჩევს ჩვილებს, რომლებიც “ყოველთვის ჩანდნენ მშვიერი და აჟიტირდებოდნენ კვების დროს”, და ისეთებს, რომლებიც “არასდროს მშვიდები არ იყვნენ და ადვილად ღიზიანდებოდნენ კვების დროს”.

Free Article

კვების დროს ბავშვი ადვილად შეიძლება მოექცეს სხვადასხვა დონის სტრესის ზემოქმედების ქვეშ. რძე შეიძლება იყოს ძალიან ცხელი ან ძალიან ცივი, ან მიქსტურა იყოს არასწორი თუ ბოთლით იკვებება. ძუძუთი კვების შემთხვევაში შეიძლება რძე არასაკმარისი იყოს, ან გემო ჰქონდეს ცუდი. შესაბამისად, კვება, სასიცოცხლო მხარდაჭერის ნაცვლად შესაძლოა გახდეს საშიში და არასასურველი პროცესი ან სწორი კვების შეზღუდვის გამო, ან ცუდი ტიპის კვების გამო.

ბევრი ადამიანი, რომელიც ადვოკატირებას უწევს ბოთლით კვებას ალბათ სრულიად დაიშოკებოდა რომ დასწრებოდა ფსიქიატრიულ სესიებს, სადაც მკურნალობის ქვეშ მყოფი პაციენტი ხელახლა გადის იმ შეგრძნებებს და შთაბეჭდილებებს, რაც განიცადა როცა საშინელი იარაღი, საგანი მას სდევნიდა, ეკვროდა და სურდა მისი ერთ ადგილზე მიჭედვა, პარალიზება და შესაძლოა სიკვდილიც - წერს ბევან ბრაუნ. “ ამ პროცესს დედა ან დედის სუბსტიტუტი რა თქმა უნდა საუკეთესო მოტივებით უზრუნველყოფს. ის დარწმუნებულია რომ ბავშვს სჭირდება კვება და მისი ფუნქციაა რომ ბავშვის პროტესტის მიუხედავად, მაწოვარა როგორმე ბავშვის პირში მოახვედროს”. (16 p.23)

საკვები სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ალბათ იძულებით კვებაზე საზიზღარი ცოტა რამ არის ცხოვრებაში. ზრდასრული, პროტესტის გამოსახატად მოშიშშილე პატიმრებზე რეპორტები აჩვენებს რომ იძულებითი კვება ყველაზე ტრავმატული გამოცდილებაა რაც მათ ჰქონიათ. ეს გამოცდილება იწვევს გულისრევას, ნაწლავური ტრაქტის დაავადებებს და საშინელ დისკომფორტს. ბუნებრივია ეს ბევრად უფრო მწვავედ გადააქვს ჩვილს, რომელიც ჯერ ეხლა სწავლობს როგორ მიიღოს სამყაროდან საკვები და

რომლის კარგად თუ ცუდად ყოფნის აღქმა სწორედ კვების გამოცდილებიდან ყალიბდება. ბოისენი (18) აჩვენებდა როგორი მნიშვნელოვანია პერესტალტიკური მოძრაობა შემდგომში სიცოცხლით ტკბობის უნარისთვის. საბაზისო ტრავმა, თუ კვების ფუნქცია ირღვევა, გამოიხატება იმაში, რომ ცხოვრება ძალიან მუჟავა, რომელიც გინდა ამოაღებინო როგორც შხამი. მოწამლოლობის გამოცდილება ან სიცარიელის გამოცდილება არის პარანოიული პოზიციის საფუძველი. მხარდამჭერი ფუნქციები : ჭამა, სუნთქვა, ძილი, რომლებიც როგორც წესი გმუხტავს, არის შესუსტებული. ძირითადი საფრთხე იქნება ეს კვების ნაკლებობა თუ არასაჭიროება, ხდება გამოფიტვის წყარო, თითქოს ადამიანს გამოწოვს მთელი სისხლი.

ასე გაიხსენა ლეიკის ერთ-ერთმა პაციენტმა არასაკმარისი კვების ტრავმა:

“მე თავს ჩვილად ვგრძნობდი (ფრაზებს შორის დიდი პაუზებია. მისი ენა მშრალ პირში მოძრაობის მახასიათებელ ხმებს გამოსცემს. დროდადრო ხმამაღალ წოვით ბგერებს უშვებს). მე აზრიანად ვერ ვლაპარაკობ. მხოლოდ ვხედავ სურათებს და ვგრძნობ პირით. თითქოს ის მე მახრჩობს. მიჭირს ვისუნთქო. თითქოს ლეჰვა უნდა შევაჩერო რომ ამოვისუნთქო. თითქოს ვარსებობ რაღაც ძალიან ფიზიკურ დონეზე. ყველა შეგრძნება პირით და აი ამ ადგილით შემოიფარგლება (მიუთითებს სასქესო ორგანოზე) თითქოს ერთი დიდი შიმშილი ვარ. ამას ნახევრად გადადულებული რძის გემო აქვს, როგორც ამოღებინებული რძე. ის მომწამვლელია. მეზიზღება რომ მხოლოდ საჭმლის საჭიროება ვარ. იმ დონეზე შინაგანად გამოცლილი ვარ რომ ერთადერთი რაც ჩემში დარჩა ეს ფიზიკური შეგრძნებებია.

დიდი ხნის განმავლობაში ჩემი ხელები ბავშვივით ჰაერში იწეოდა დედის მკერდისკენ, მაგრამ ის იქ არ იყო. მერე უკან გადავვარდი. თავს სრულიად დაცარიელებულად ვგრძნობდი, რაღაც სპეციფიკური გემოთი პირში. გემო გემოს გარეშე, მწარე არა, მაგრამ გულისამრევი. ჩემი პირი მტვერივით მშრალია და სულ მოძრაობს. თითქოს სათქმელადაც ნამეტანი ელემენტარულია. მთელი ჩემი სხეული ცარიელია, და რაღაცას ეძებს. როგორი სულელურია ეს ყველაფერი. მე უნდა მიმელო საჭმელი. ვხედავ დედის სხეულს. ის მკვდარია და მკერდი შეკუმშულია. ჩემი პირი გადიდდა და დასიებულია და შეგრძნება მაქვს რომ მხოლოდ სურვილი ვიყავი. ეს საშინელი გრძნობაა და გახრჩობს. . . ცხოვრების წყარო ჩემთვის გამწარდა. გუშინ სადღაც წყალი იღვრებოდა და ეს თითქოს ჩემგან იღვრებოდა გარეთ ყველანაირი არსებობის წყარო. . . როცა დედის მკერდი მახსენდება, გულისრევის გრძნობა მიჩნდება... ჩემი ლოყები თითქოს პატარა ბავშვივით გაიბერა და საშინელ გემოს ვგრძნობ. ვცდილობ სულ ვწოვო და ეს საშინელი შეგრძნებაა. პირი უფრო და უფრო მშრალი ხება და გულისრევის აბსოლუტურად ფიზიკური შეგრძნება მაქვს - ძუძუ, რომელშიც არაფერი არ არის, შეკუმშული და დაპატარავებული - ისე, როგორც დედის მკერდი გამოიყურებოდა მისი სიკვდილის დროს”. (6)

## კომმარი და ზიზლი

შიზოიდური გამოცდილების საფუძველში არსებობის დაკარგვის შიშია, ხოლო პარანოიული გამოცდილების საფუძველი კარგად ყოფნის დაკარგვის პანიკური შიშია. გულისრევის შიში როგორ დარვიანა გვაჩვენა ზიზლთან არის კავშირში:

“სურათებიდან თუ ვიმსჯელებთ, მთელი სხეული ბრუნდება ან იკუმშება. ან ხელები წინ არის გამოწეული, თითქოს ცდილობს მოიცილოს რაღაც საშინელი ობიექტი. უფრო გავრცელებული ჟესტი აწეული მხრები და მკერდის გვერდებთან მიკრული მოხრილი



მკლავებია. ეს მოძრაობები ძალიან წააგავს სიცივის დროს რასაც ვაკეთებთ. მას ასევე მოჰყვება როგორც წესი კანკალი, ისევე როგორც ღრმა ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა. საჭიროების მიხედვით გულმკერდი შეკუმშულია ან გახსნილი იმ მომენტში. ამას თან ახლავს ხოლმე ასევე ბგერითი ექსპრესია უკ ან უფ. არცთუ ისე გასაგებია სიცივის ან დიდი შიშის დროს რატომ ვიხვევთ მკლავებს მჭიდროდ სხეულზე, ვწევთ მხრებს ზევით და ვკანკალებთ”. (19 p.305)

## დარვინმა ზიზღიც მსგავსად აღწერა:

“რადგანაც ზიზღის გრძნობა თავდაპირველად ჩნდება ჭამის ან გემოს გასინჯვის დროს, ბუნებრივია რომ მისი გამოხატვა ძირითადად პირის ირგვლის მოძრაობით გამოიხატება. თუმცა, ზიზღს თან ახლავს ასევე ზიზღის ობიექტის განდევნის ან მისგან თავდაცვის ფესტიკულაცია. სახეს რაც შეეხება, საშუალო დონის ზიზღი სხვადასხვა გზით შეიძლება გამოიხატოს: ფართოდ გახსნილი პირი, თითქოს რომ ცდილობს გადმოაგდოს საზიზღარი ნაწილი; გადმოფურთხებით, ამოსუნთქვით გამოწეულ ტუჩებში, ან ყელის გასაწმენდად მსუბუქი ჩახველებით. ასეთი ხმები როგორც წესი იწერება როგორც უკ ან ჰმ; და მათი გამოთქმა ხშირად უკავშირდება კანკალს. ამ დროს ხელები სხეულს მჭიდროდ ეკვრება და მხრები იწევა როგორც შიშის შემთხვევაში. ექტრემალური ზიზღის დროს პირის ირგვლივ ხდება მოძრაობა რომელიც ძალიან ჰგავს ლებინების მიმიკას.(19 p.257)

გულისრევის საშინელი შეგრძნება, რომელიც ბავშვს ჭამის დროს უჩნდება, ასევე შეიძლება გაუჩნდეს არასასიამოვნო გამოცდილების “მონელების” (გადახარშვის) ან ვიდაცის უარყოფითი ემოციების გადაყლაპვის საჭიროების დროს. რატომ არის რომ საშინელებათა ფილმებს სწორედ საშინელებათა ფილმები ჰქვია და არა შიშის ფილმები? რატომ არის რომ საშინელებათა ფილმის მთავარი გმირები ვამპირები არიან, რომლებიც ადამიანის სხეულს მიირთმევენ, რაც შეუძლებელია საშინელ ზიზღს არ იწვევდეს. ვიცნობდი ქალს, რომელიც ბავშვობაში შეესწრო მისი მამა როგორც შლიდა ჭკუიდან დედას. ამაზე დაკვირვებით ბავშვი განიცდიდა გულისრევას, მაგრამ უსუსური იყო თავი დაეცვა. ამ გამოცდილებამ მასზე ძალიან ტოქსიკური კვალი დატოვა და დიდხანს მოუწია საკუთარ თავზე მუშაობა რომ გამკლავებოდა თავის პარანოიდულ მოლოდინებს.

ცნობილი ვენელი ექიმის, შრებერის დევნის რეჟიმი, რომელიც მან საკუთარი ვაჟისთვის შექმნა, მოიცავდა შემზღუდავი და შემაკავებელი მეთოდების მთელ სერიას, რომლებიც აღწერა მორტონ შატცმანმა. აქ შეიძლება დავინახოთ დევნის მეთოდების კავშირი განწმენდის რიტუალებთან. საკუთარი ვაჟის განწმენდით ის ცდილობდა საკუთარი სიბინძურის შეგრძნების მოშორებას; საბოლოო ჯამში სიბინძურის შეგრძნება მის შვილში პარანოიდულ გრძნობად გარდაიქმნა.

“ექიმ შრებერის მეთოდი ასწავლის ბავშვს საკუთარი თავის უარყოფას, იმისთვის რომ დადგინდეს იერარქია, რომელიშიც მამა გავლენას ახდენს ძიძაზე, რომელიც თავის მხრივ ამ გავლენას გადასცემს ბავშვს. მამა დეტალებში აღწერს რომ ბავშვები 7 წლამდე უნდა იკვებონ და და მიიღონ სითხე მხოლოდ განსაზღვრულ დროებში. ის განსაზღვრავს რა არ შეიძლება საერთოდ მიირთვან და დალიონ, როდის შეუძლიათ და არ შეუძლიათ წყლის დალევა, რამდენჯერ და რა დროებში შეიძლება ჭამა”. ამ დირექტივების მიზანი არის “გაზულუქებული მუცლის” თავიდან აცილება და გადამამუშავებელი სისტემის სრული ძალით აღჭურვა. (13)

ზიზღის ან სურვილის პირველივე გამოვლენისას, ექიმი შრებერის რეკომენდაცია იყო

რომ არ შეიძლება დანებდე; არ შეიძლება ბავშვს მისცე რაიმე გემრიელი, სანამ ის არ დაამთავრებს ბოლომდე იმის ჭამას, რაზეც უარი თქვა.

როგორც შატცმანი ხსნის, “მამა მოითხოვს რომ ბავშვი არ დაემორჩილოს ბუნებრივი ჭამის სურვილს და რიტმს... იმისათვის რომ მამის სისტემის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, ბავშვმა უნდა დაივიწყოს შიმშილის და დანაყრების სიგნალებზე რეაგირება რომელსაც საჭმლისმომწელებელი ტრაქტი უგზავნის. შედეგად, მან ჭამიდან ჭამამდე შუალედებში საერთოდ უნდა დაივიწყოს რომ მას კუჭი აქვს” (13)

ექიმი შრებერის რწმენა მდგომარეობდა იმაში, რომ კვებით შეზღუდვას შეუძლია სულის მოწამვლის შეჩერება. ვაჟისთვის მისთვის მიუღებელი ემოციების შეზღუდვას იგი “მკურნალობის მსუბუქ მეთოდს” უწოდებდა. შატცმანის მოსაზრებით მამა ამ რეჟიმით ცდილობს საკუთარი “დამპალი ადგილების” ამოკვეთა მოახდინოს. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს მისი საკუთარ ბავშვობის პრობლემების შესახებ ინფორმაცია, თუმცა სწორედ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდა ის საკუთარი ვაჟის აღზრდის პროცესში.

ალექსანდრე ლოუენი აღწერს ალდოს ქეისს. ეს არის პარანოიდული პიროვნება, რომელსაც კომპულსიური ჭამა აწუხებდა. ალდოს დედა ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა კუჭნაწლავის ტრაქტის ფუნქციების გამართულ მუშაობას. დღის წარმატებას განსაზღვრავდა მიღებული საკვების მოცულობა და ბავშვის კუჭის მოქმედების რეგულარობა. ერთი დღეც რომ კუჭში შეკრული ყოფილიყო, მას სასწრაფოდ ოყნას უკეთებდნენ. საბოლოო ჯამში მისი სხეულის საზღვრები, თავშიც და ბოლოშიც, დედის მიერ უხეშად ირღვეოდა.” (7)

კომპულსიურ ჭამას (ძლომა) ლოუენი პარანოიდულ ქცევას უკავშირებს. კომპულსიური მჭამელი ძლომით ავლენს საკუთარ გაღიზიანებას, მრისხანებას და დანაშაულის გრძნობას. ძლომით ის ამ ემოციებს აყურებს. ჭამა და ძლომა აგრესიის გამოვლენის ჩვილური გზაა. კომპულსიური მჭამელი პირდაპირი გაგებით ანადგურებს საჭმელს, რომელიც დედის სიმბოლოს წარმოადგენს”.

ყველაზე უარესი, რაც ალდოს დედას შეეძლო გაეკეთებინა იყო “მკერდის ჩვენება. ეს ამაზრზენია”. ამავე დროს ალდო გრძნობდა: “მე არ ვიმსახურებ სიამოვნებას, იმიტომ რომ მე დემონი ვარ. ჩემში ძალიან ბევრი სიძულვილია”. (7)

## პარანოიდული ეკრანი

ჩვილის მიერ დედის მკერდთან დაკავშირებით განცდილი საშინელება, რომელიც ლეიკის მიერ ზემოთ კარგად იყო გადმოცემული, როგორ წესი იბლოკება ცნობიერებაში. ძალიან დიდი გამბედაობაა საჭირო პარანოიდული პოზიციიდან ამ საშინელებასთან შესახვედრად. ამასთან, პარანოიდული თავდაცვის მატარებელი ადამიანები, დევნის განცდას სხვა, მათ გარემოში არსებულ ადამიანებზე გადაიტანენ, ხოლო დამთრგუნველ სისუსტის და სიცარიელის შეგრძნებას პარანოიდული განდიდების მანიით ანეიტრალავენ. ისევე როგორც, კომპულსიური მჭამელი შეიწოვს მრისხანებას და სხეულს ბერავს იმდენად რომ გაძლიერდეს და დაცული იყოს გარე ტკივილებისგან, ისევე პარანოიდული ადამიანი, როდესაც გრძნობს საფრთხეს, გარკვეულ თავდაცვით ეკრანს ირგებს, რომელიც ნაწილობრივ მაინც ართულებს მასთან ახლოს მისვლის გზას<sup>1</sup>.

1 დიკ მალინზას აზრით, ამ შემთხვევაში განგდებითი რეაქცია ზიზღზე - ეს შიშის მიმართ თავდაცვითი რეაქციაა

პიროვნების ენერჯის ველთან დაკავშირებით. მეწამდვილად მიგრძნობია ეს ველი როგორც ელექტრო ღობე სხეულიდან რამოდენიმე იარდის პერიმეტრზე, თითქოს გაკეთებული რომ ნეიტრალიზაცია გაუკეთოს და უკუაგდოს შესაძლო თავდასხმა. ინგლისური სიტყვა საშინელება (ჰორორი) წამოსულია ზედსართავი სიტყვებისგან “თმიანი”, გაბურძნული” და კავშირშია ისეთ ცხოველებთან როგორცაა მგელი და ზღარბი. როდესაც ადამიანი კანკალებს, ის იბურძნელება; მგლის თმა დგება, ისევე როგორც ზღარბის ეკლები - რომ დაიცვას თავი თავდასხმისგან. პარანოიდული ეკრანი საშინელია ერთის მხრივ, და პარანოიდული ხასიათი იჩხვლიტება როგორც კაქტუსი, რომელიც იძულებულია თავი დაიცვას. პარანოიდული სისტემის მაქსიმალური გამოვლინების დროს ძირითადი ილუზია მდევარ ძალებზეა. მორტენ შატცმანმა მთელი წიგნი მიუძღვნა დევნის ილუზიებს, რომლებიც სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ეს არის სრულიად რეალური მოსაზრებები რეალურ დევნის ფაქტებზე. იმ ფაქტის გააზრება, რომ მდევარი გახდა ის, ვინც საჭიროა კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, შეიძლება იმდენად მტკივნეული იყოს, რომ თერაპევტის გარეშე შესაძლოა ვერც კი მოხდეს.

ლოუენის პაციენტ ალდოს ალტერნატივები ჰქონდა რომ ეცხოვრა საკუთარი ნებისყოფით ან დანებებოდა. “ნებისყოფის გამოყენება, თითქოს ყოველი ლუკმა სიცოცხლისა და სიკვდილის მნიშვნელობის იყო, მას მონსტრად აქცევდა”, წერს ლოუენი. “მას სჭირდებოდა ნება რომ შეენარჩუნებინა საკუთარი ყოვლისშემძლეობის შეგრძნება, რადგანაც თუ ნება მოდუნდება, მას კოლაფსი და დამცირება ელოდება”.

“ალდოს სირთულე მისთვის პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატივების მიუღებლობაში მდგომარეობდა: საკუთარი სხეულის დამამცირებელ კონოტაციებთან იდენტიფიკაცია ან სხეულის უარყოფა და პარანოიდულ ფიქრებში წასვლა. პირველი იყო გაუსაძლისი, მეორე კატასტროფული. სხეულის არასასიამოვნო შეგრძნებებმა და მისმა შეუხედავმა გარეგნობამ ის მიიყვანა საკუთარი ღირებულების გონებაში აღმოჩენამდე. როგორც მან დაინახა, სხეულის “არაფრობასთან” დაპირისპირება გონების ყოვლისშემძლეობით შეიძლებოდა, გონების სიწმინდით სხეულის დაბინძურებასთან გამკლავება. საკუთარი ნებით უარყოფილი და მოძულეებული სხეული გახდა მხოლოდ ქმედების ინსტრუმენტი.

როდესაც სხეულისთვის სიტუაცია მიუღებელია, ორგვარად შეიძლება რეაგირება. პირველი არის სხეულის “მოკვდინება”, ნაჭუჭის ქვეშ დამალვა და მინიმალური აქტივობა. მეორე, აქტიურად გამოსვლა, სხეულზე აღმასვლა ეგოსთან და ნებასთან ზე-იდენტიფიკაციის გზით. მეორე გზა პარანოიდული მექანიზმია. ის იწვევს განდიდების მანიას (მეგალომანია), ურთიერთობებზე ბოდვით დამოკიდებულებას (ხალხი ჩემზე ლაპარაკობს...), და დევნის შეგრძნებას (ადამიანები ჩემს მიმართ მტრულად არიან განწყობილი)... პარანოიდული ადამიანი “გიჟდება”. რადგანაც მისი მთელი ენერჯია თავში მიდის, მისი ეგო ზედმეტად იმუხტება, მისი ნება ზეადამიანური ძალის ხდება და მისი სხეულისთვის შესაძლებელი ხდება ისეთი მოქმედებები, რაც ჩვეულებრივ შეუძლებელია ხოლმე”. (7)

გაგიჟების ალტერნატიული გზა სიკვდილია. ლოუენი ამას შიზოიუდურ უკანდახევას უკავშირებს, მაგრამ მე ამას უფრო პარანოიდული დაცვის მექანიზმის დეპრესიულ რეაქციას დავუკავშირებდი. სწორედაც დეპრესიულ ხასიათში ვლინდება ნების ისეთი პარალიზი, როდესაც სხეული ვერ ასრულებს ყველაზე ჩვეულებრივ ქმედებებსაც კი.

ისევე როგორც არყოფნის შიშზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძირითადი რეაქცია ყალიბდება მიჯაჭვულობის პერიოდში, ასევე პარანოიდული და დეპრესიული რეაქციებიც პოლარულია ერთმანეთთან მიმართებაში, თუმცა ერთი ფუძე აქვთ. პარანოიდული ადამიანი ცდილობს გადმოაფურთხოს ცუდი გემო და ბრალს დებს



სამყაროს ბოროტებისთვის, რომელსაც საკუთარ თავში უარყოფს, ხოლო დეპრესიული ადამიანი იდენტიფიცირებას აკეთებს ცუდ გემოსთან და ან საკუთარ სხეულს ან საკუთარ თავს აბრალებს ბოროტებას. თუ პარანოიდული რეაქცია ჩაიშლება, ადამიანი ისევ ორალური შიშის ან ორალური დევნის დამცირების და სისუსტის სიტუაციაში ჩავარდება. მეორეს მხრივ, თუ დეპრესიული ადამიანი მანიაკალურ ფაზაში შევა, ისიც როგორც პარანოიდული პიროვნება, შეიძლება მანიაკალური განდიდების მანია და ყოველისშემძლეობის შეგრძნებამ მოიცვას.

მორტონ შატცმანიც ამის მსგავსად ხაზს უსვამდა, რომ ექიმი შრებერის დაუოკებელი ლტოლვა მაღალ მორალური იდეალების მიმართ იყო მისი დეპრესიული ემოციების საფრთხისგან გაქცევის გზა. ამ გზით, მელანი კლეინისა და დონალდ ვინიკოტის იდიომს თუ მოვიშველიებთ, ის იყენებდა “მანიაკალურ თავდაცვას” (13).

ლეიკი უშვებს იმას, რომ სამყაროსთვის გადაბრალების პარანოიდულ რეაქციას და საკუთარი თავის დადანაშაულების დეპრესიულ რეაქციას შორის განსხვავება გადის სტრესის მიმართ მდგრადობის ზღვარზე. მე თვითონ მჯერა, რომ პარანოიდული ტრავმა უფრო მიმიყვარა, რადგან სიცოცხლის უფრო ადრეულ ეტაპზე ყალიბდება. ვინიკოტის აზრით, პარანოიდული გრძობის ჩამოყალიბება სიცოცხლის პირველივე დღიდან შეიძლება მოხდეს, მაშინ როდესაც დეპრესიული რეაქციის საწყისი 6 თვის შემდეგ ან უფრო მოგვიანებით უნდა ვეძებოთ. (34 p.112)

დეპრესიული მდგომარეობა მოიცავს დანაკარგის შეგრძნებას, მაშინ როდესაც პარანოიდის ძირითადი გამოცდილებით არანაირი ფასი არ აქვს არაფერს რაც გააჩნდა და რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოცილოს. ლოუენის ქვემოთ მოყვანილი ანალიზი ნათლად აჩვენებს პარანოიდული და დეპრესიული რეაქციების პოლარობას:

“ბავშვის ჯანსაღი ფსიქიკა და გადარჩენა საჭიროებს რომ მან საკუთარი დედა პოზიტიური კუთხით დაინახოს. ამის გაკეთება შეიძლება დედის თვალსაჩინო დესტრუქტიული ქცევის მისი პიროვნებიდან გამიჯვნით, რაც მომავალში “ცუდი დედის” პროექციაში გადადის. მოგვიანებით, როდესაც ბავშვი ხვდება რომ რეალობაში ორი დედა არ არსებობს, ის მის “ცუდ” ასპექტს საკუთარ თავზე იღებს. ბავშვი საკუთარ თავს აღიქვამს როგორც მონსტრს, რომელიც ბედის გავლენით ისე იქცევა რომ დაიმსახუროს ტკივილის განცდა” (8).

## დანაკარგი და მრისხანება

ფსიქიატრიაში გამოარჩევენ ორი ტიპის დეპრესიას, აჟიტირებული ანუ რეაქტიული დეპრესია და ენდოგენური, ანუ შენელებული დეპრესია. ლეიკმა შეაჯამა ორივეს მახასიათებლები და დაასკვნა, რომ მათ შორის საკმაოდ სერიოზული განსხვავებაა. რეაქტიულ დეპრესიაში მეტი აჟიტირება და შფოთვაა და დაკავშირებულია დედის მიმართ ღრმად დამარხულ განრისხებასთან. მეორე სახის დეპრესიას უფრო დაბალი ენერჯის სიხშირე ახასიათებს და უფრო ჰიპოქონდრიულ სიმპტომებში გამოიხატება. ბავშვის მდგომარეობა ამ სიტუაციაში ასე შეიძლება აღვწეროთ:

“რამდენადაც ბავშვის მხარდაჭერა და ცხოვრების უზრუნველყოფა არაადექვატურია, ხოლო დედა, რომელიც პასუხისმგებელია ამაზე, ადგილზე იმყოფება, ან მისი სასურველი მკერდის კონტური მხედველობის არემია. “მწამებელის” მიმართ სხვადასხვა ემოციები შეიძლება გაჩნდეს: სიძულვილი, თუ ის მას არ აძლევს მხარდაჭერას, “შური”, თუ ის საკუთარი თავისთვის ინახავს რესურსს, “ეჭვი” როდესაც ის თითქოს საკუთარ თავს ან

საკუთარ მკერდს სხვას აძლევს. ორივე შური და ეჭვი განეკუთვნება პასიურ სურვილს, რომელსაც უფრო სწორია ნატვრა დავუძახოთ. შურს და ეჭვს ნეგატიური კონოტაცია გააჩნია. როდესაც სიძულვილის, ეჭვისა და შურის აგრესიული ემოციები ბრუნდება და საკუთარ პიროვნებაზე მიემართება, ჩნდება დეპრესია, რომელსაც ახასიათებს შეზღუდულობა და საციცოცხლო შფოთვის ნაკლებობა. (6p.173)

მგლის იმიჯი, აბურძგნული თმით, მდევარის საფრთხე, პარანოიდულ თავდაცვასთან არის ასოცირებული. წითელქუდას ზღაპარი პარანოიდული დეპრესიული ღამის კომმარია, სადაც მგელი შემხრამუნებელია:

“სასიცოცხლო მხარდაჭერის წყაროსთან სეპარაციის გადალახვის მცდელობა ხდება სასურველის მიღებაზე ფანტაზიის მეშვეობით. ამის მაგალითია რძით სავსე მკერდის მენტალური სურათი. მაგრამ თუ ძუძუს ვერ იღებ და მისგან რძის გამოწოვა შეუძლებელია, ჩნდება კბენის და მასზე ჩამოკიდების იმპულსი, რომ ის არ გაქრეს და შეჭამოს. (6)

ჩვილს, რომელსაც დასაწყისში დედასთან კონტაქტის კარგი გამოცდილება აქვს, ძლიერი ენერგეტიკული სისტემა აქვს და ასევე საკუთარი იდენტობის გრძნობა. შესაბამისად, მას შეუძლია საკუთარი მრისხანება უფრო გაცნობიერებულად მიმართოს დედის, როგორც გამაღიზიანებელი ფიგურის მიმართ. მაგალითად, თუ წოვა მოულოდნელად გააწყვეტინეს ან დედა მოშორდა იმ მომენტში, როცა ბავშვის ურთიერთობა ძუძუსთან უფრო პერსონალიზირებულ პროცესში იყო. ასეთი ტიპის მრისხანება გაცარიელებს, ეს ლეივის სიტყვებით ნიშნავს იყო საკუთარი სიცოცხლის წყაროს გამანადგურებელი.

ბიორნ ქრისტიანსენი ძუძუთი კვების სიტუაციას შემდეგნაირად აღწერს:

“ძუძუთი კვებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მთელი რიგი კრიტიკული სიტუაციები. თუ ის ბავშვის ზრდის და განვითარების მიხედვით სწორად არ წარიმართა, თუ წოვის ბოლოსკენ ატმოსფერო დაძაბულია და მოუთმენლობა იგრძნობა, ადვილად ჩნდება კბენის იმპულსი. ბავშვის დედა, რომელიც შესაძლოა მანამდეც დაძაბული და თავის თავში დაურწმუნებელი იყო, შეიძლება უფრო ალელდეს, რაც თავის მხრივ გადავა ბავშვზე. თუ დედა კბენის ან კბენის მცდელობის შემდეგ ბავშვს ძუძუს მოაშორებს, ეს ბავშვისთვის საკვების დაკარგვის საფრთხეზე მეტია. მისი მთელი არსებობა საფრთხის წინაშე დგება.

კბილების ამოსვლა და ყბის კუნთების განვითარება ბავშვს კბენის უნარს აძლევს. ეს ახლადშემქნილი უნარი შესაძლოა ადვილად გახდეს ორპირიანი ხმალი, როცა საქმე ბავშვს ეხება. პატარა ბავშვების მიერ აგრესიული კბენა ძალიან ცუდად აღიქმება და მიუღებელ ქცევებში გადის. გაღიზიანებაზე ბავშვის კბენის იმპულსი შესაძლებელია ადვილად გადაიქცეს ბუმერანგად, რომელიც მას ახალი ტიპის საფრთხეებს და გაღიზიანების წყაროებს დაუბრუნებს. (15 p.103) ბუმერანგი ისე მუშაობს რომ გარეთ მიმართული ბრაზი და კბენა უნდა უკან დაბრუნდნენ და შინაგან სამყაროში მოექცნენ. საკუთარ თავზე მობრუნებული მრისხანება გადაიქცევა დანაშაულის გრძნობად და არ გააჩნია გასასვლელი. დეპრესიული ადამიანი სავსეა კბენასთან, ბოროტსიტყვაობასთან დაკავშირებული დანაშაულის გრძნობით, როდესაც პაციენტს ვიღაცაზე კბილი აქვს დადგმული. ასეთ გარემოებებში, რეპრესიული ენერგია, რომელსაც მშვენივრად აღწერს ფრაზა “სინდისის ქეჯნა”, რეალურად საკუთარი თავის კბენაა. ცუდი დედის და ცუდი ძუძუს მიმართ ცხადდება ბოიკოტი, პროფკავშირების ენით რომ ვთქვათ, იმისთვის რომ ისინი საჭირო დროს არ იყვნენ სადაც და როგორც საჭირო იყო და მათზე მენტალურად ხორციელდება თავდასხმა. თუ დედა დაბრუნდა, ან თუნდაც უამისოდ, თუ შფოთვა ძალიან მაღალია, მათი თავიდან მოშორების მიზნით საჭირო ხდება ფანტაზიის

გამოყენება რაც ხშირად გადაყლაპვის წარმოდგენას უკავშირდება. შეგრძნება, რომ ჩემში არის რაღაც ცუდი და დესტრუქციული, აძლიერებს ვეგეტატიური ნერვული სისტემა, რომელიც ბრაზის რეგისტრირებით რეაგირებს არეული საჭმლის მონელების ფუნქციით. ეს იწვევს კუჭის მოუნელებლობას. ადვილია დავინახოთ, რომ ზრდასრული, რომელმაც კიბოს შესახებ იცის რომ ეს არის რაღაც რაც სხეულს ანადგურებს შიგნიდან, გადაყლაპულ გამანადგურებელ დეპრესიულ გრძნობას აღიქვამს თითქოს ეს ნიშნავს სიმსივნური ზრდის არსებობას, რომლისგანაც უკეთესად გახდომის იმედი არ არის. (6 p/119)

მაშინ როდესაც კომპლუსიური ჭამა პარანოიდულ თავდაცვასთან არის ასოცირებული, კომპლუსიური უარი კვებაზე ძირითადად დეპრესიულ მდგომარეობას უკავშირდება. ოტო ფენიხელი ხაზს უსვამდა, რომ “საკვებზე უარის თქმა მხოლოდ მელანქოლიის გავრცელებული სიმპტომი არ არის. ეს არის დეპრესიის თანმდევი სიმპტომი”. (2) რამდენად ეს სწორია, დამოკიდებულია დეპრესიის ინტენსიურობაზე და მის წინააღმდეგ გამოყენებული ზომების ეფექტურობაზე. ვიცნობდი დეპრესიულ ადამიანს, რომელიც იღებდა იმდენ საკვებს რომ ეცოცხლა: საჭმლით ის ვერანაირ სიამოვნებას ვერ იღებდა და სჭირდებოდა მაქსიმალური ძალის მოკრება რომ გამოეკვება თავი. მისი წარსულიდან მნიშვნელოვანი იყო დედა, რომელიც ჭამას უზღუდავდა იმისთვის რომ სასურველი ქცევა ჩამოყალიბებოდა ბავშვს. ამისთვის, მას ჩაკეტილი ჰქონდა ყველა კარადა სადაც საჭმელი შეიძლება ყოფილიყო. ასეთ ოჯახში გაზრდილი ბავშვი თითქოს ლეიკის ერთ-ერთი პაციენტით ამბობს: “მომხედე, მე როგორ დამაბრალებ ჭამას, როდესაც ხედავ რომ საერთოდ ძლივს ვჭამ “. ამის ქვეშ კი სხვა მოტივია: “რადგანაც შენ არ მაჭმევ, მეც მინიმუმს გავაკეთებ რომ ვჭამო”.

მეორეს მხრივ, თუ ორალური ლტოლვა შეიძლება ადამიანებიდან საგნებზე გადაიტანო, მაშინ ადამიანთან დაკარგული სიყვარულის კომპენსაცია შესაძლებელია საგნებიდან მოხდეს. ამ რეაქციის პატერნს ბეიკერმა ორალურად დაუკმაყოფილი უწოდა. ლეიკი აღწერს საკუთარ პაციენტს, რომელიც ქმარს არ უყვარდა:

“ის აცხოვდა ყოველდღე სამ ნამცხვარს, უკეთებდა კრემს და მარტო მიირთმევდა. როგორც ექიმმა მითხრა, ის როგორც ჩანს დეპრესიიდან გამოდიოდა, რადგანაც მას შეეძლო უკვე ჩაეარა საკონდიტრო მაღაზიასთან, და კომპლუსიურ იმპულსს აყოლილს ეყიდა შოკოლადი და იქვე მიერთვა. (6 p.118)

## მწუხარება და დანაშაულის გრძნობა

დეპრესიულ მდგომარეობას ორი კომპონენტი გააჩნია, დანაკლისის და სიცარიელის შეგრძნება და შეკავებული რისხვა; დაკარგულის გამო მწუხარება ან სიცოცხლისუნარიანობის არქონის შეგრძნება (ლოუენის განმარტებით, ამაზე დარდობს დეპრესიული ადამიანი), და დანაშაულის გრძნობა გაზრახებული პროტესტის გამო. დეპრესიის ორი ფორმა, რომლებიც კლინიკურად არის აღიარებული ასოცირდება ამ ორ კომპონენტთან, თუმცა ორივე შეიძლება ერთდროულად არსებობდეს და ერთმანეთთან გადახლართული იყოს ერთი ადამიანის დაცვით რეაქციაში. თუმცაღა, დანაკარგთან და დანაშაულის გრძნობასთან გამკლავება სხვადასხვა გზით ხდება. მხარდაჭერისგან კმაყოფილება ნიშნავს სისავსეს, მაგრამ “იმისათვის რომ სისავსე შეიგრძნო, უნდა გაივსო, რაც ნიშნავს ემოციებით (არ აქვს მნიშვნელობა დადებითი თუ უარყოფითი) სავსე მუცელს”. (8 p.49)



ლოუენი (4) აღწერს ორალური ხასიათის მახასიათებელ ენერგეტიკულ სტრუქტურას როგორც ცარიელ ტომარას. ცარიელი ტომარა გამოხატავს ცარიელი ძუმუს ენერგეტიკულ მახასიათებლებს, საიდანაც პრინციპში ის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ჩამოყალიბდა. ასეთ მდგომარეობაში ადამიანი ფიქრობს რომ მას რაღაც სჭირდება გარედან, რომელიც როგორც რძის სუბსტიტუტი დაანაყრებს, შეავსებს და ენერგიას მისცემს. მაგრამ ზრდასრული ადამიანი უკვე ჩვილი არ არის, და ორალური საჭიროებები – საჭმელი, სასმელი, ნარკოტიკი, რაზეც შეიძლება ის იყოს მიჯაჭვული – ვერ ანაცვლებს მისი ჩვილობისას განცდილ დანაკლისს. რაც მას ესაჭიროება არის აგრესია რომ გაუმკლავდეს საკუთარ სასიცოცხლო კავშირების უზრუნველყოფის საჭიროებას. ამისთვის საჭიროა ენერგიის მობილიზაცია და მისი მიმართვა გარეთ და ქვემოთ ცოცხალი მოტორული ფუნქციისკენ, რომელიც გამოკვლევის წარმატების საფუძველია. ორალური ტენდენცია გაფართოებისკენ სრულიად სხვა მიმართულებით უბიძგებს:

“დეპრესიულ მდგომარეობაში ეგო მიბმულია კოლაფსში მყოფ სხეულთან და გადავსებულია უიმედობის და უსუსურობის გრძნობებით. ის იბრძვის თავისუფლებისთვის, და როდესაც იღებს რაც უნდა, ტრიუმფალურად ბუმტივით ზემოთ მიიწევს უფრო და უფრო გაბერილ მდგომარეობაში. მანიაკალურ მდგომარეობაში უფრო და უფრო იზრდება აღზნება თუმცა გაზრდილი ენერგია ძირითადად თავში და სხეულის ზედაპირზე იყრის თავს, სადაც ის აქტივიზაციას უკეთებს კუნთურ სისტემას და მისთვის მახასიათებელ ჰიპერაქტიულობას და გაზვიადებულ გამოხატვას იწვევს. ენერგიის ეს მიმართულება ზევით, ნაცვლად ქვემოთ მიმართვისა, არ ეხმარება განტვირთვას, რომელიც სხეულის ქვედა ნაწილის ფუნქციაა. სამაგიეროდ ის ყურადღებას მიმართავს ინდივიდზე და წარმოადგენს ინფანტილური ყოველისშემძლეობის შეგრძნების აღდგენას, რომელიც ადამიანმა ჩვილობისას დაკარგა. (8 p.42)

დანაშაულის გრძნობასთან მიმართებაში ადამიანის ქცევა დამოკიდებულია იმაზე თუ სად არის განთავსებული სხეულში ეს გრძნობა: მის რომელიმე ნაწილშია თუ მთლიანი სხეული აღიქმება დამნაშავედ. ჰიპოქონდრია გარდამავალი ფორმაა პარანოიდული სხვაზე გადაბრალებასა და დეპრესიისკენ მიმართვას შორის.

“სიმპტომები ისეა წარმოდგენილი, თითქოს ფიზიკური სხეულია დამნაშავე. . . გამოთქმა “მე უნდა მივხედო ჩემს გადამუშავებას, ნაწლავებს და უფრო ზოგადად ჩემს ძალას” გამოხატავს პარანოიდული თავდაცვის დამახასიათებელ შფოთვით კვლევას. ან შეიძლება გამოიყენებოდეს ზედსართავი “სუსტი”. “ეს ჩემი სუსტი გულის, ან ზურგის, ან ნერვის “გამოა. მთლიანად ფიზიკური სხეულის მიმართ, მენტალური, ან ემოციური გრძნობების, ან კონკრეტული ორგანოების მიმართ გამოიხატება გრძნობები “გამოწურული”, კასტრირებული, დაინვალიდებული, გული წამივიდა, ავადმყოფური, კნუტივით სუსტი და ა.შ. (6 p.1079)

ისევე როგორც პარანოიდული ადამიანი სიცუდის განცდას გადმოფურთხებით, სხეულიდან გამოდევნით უმკლავდება, ჰიპოქონდრიკი მისი აზრით ტანჯვის გამომწვევი საკუთარი ორგანოების მოშორებას ცდილობს. “მას სჭირდება მათი მოშორება”, “უნდა ისინი სასწრაფოდ წაიღონ”. ეს წარმოდგენითი თავდაცვა კარგად ხსნის ჰიპოქონდრიკის მზაობას ქირურგიულ ოპერაციებზე, სადაც ორგანოს ან ორგანოების ამოკვეთა ხდება. (6 p.1093)

იმ შემთხვევაში თუ ბრალდება მთლიანად საკუთარ თავს ეხება, ანუ საკუთარ ქცევას რომელმაც ის დააშორა სიყვარულს, ჩვენ გვხვდება სიტუაცია რომელსაც მელანი კლაინი შემდეგნაირად აღწერს:

“მწუხარების ობიექტი დედის ძუძუ და რძე და ყველაფერი ის არის, რაც ამ ორის უკან დგას ჩვილის გონებაში: სიყვარული, სიკეთე და დაცულობა. ეს ყველაფერი შეიძლება დაიკარგოს ჩვილის შეგრძნებებით, და დაიკარგოს მისი უკონტროლო სიხარბის და დესტრუქციული ფანტაზიის და იმპულსების გამო დედის ძუძუს მიმართ”.

ლოუენი ყურადღებას ამახვილებს იმ უცნაურ ულოგიკობაზე, რომელიც უბიძგებს მელანი კლეინს ირწმუნოს, რომ მტრული განწყობა პირველადია და დანაკარგი მეორადი, მაშინ როდესაც სწორედ პირიქით არის მართალი. მაგრამ ასე ხედავს ბავშვი. თუ ჭამის და სიყვარულის შეზღუდვა გამოიყენება როგორც ცუდი საქციელის გამო დასჯის მექანიზმი, მაშინ ამის აღდგენის გამოსავალი კარგი ქცევაა. დანაშაულის გამოსწორება გამოსყიდვით შეიძლება. ამის შემდეგ ბავშვის საქციელი მიმართულია ისეთ ქცევაზე, რითიც ის შეძლებს სიყვარულის მოპოვებას. ამის შემდეგ სიყვარულის მოპოვებისთვის ბრძოლა ხდება ვალდებულება, და სიყვარული კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას რომელიც რწმენაზე იყო დამყარებული. დანაშაულის შინაარსი მდგომარეობს შეგრძნებაში რომ ვიღაცის გმართებს. თუ დეპრესიული ადამიანი ცდილობს ამ ვალის გადახდას, ის კომპულსიური მუშაობის ჩაკეტილ წრეზე ხვდება. იმ შემთხვევაში თუ ის სწორედ მიხვდება, რომ რამდენიც არ უნდა იმუშაოს, სიყვარული რომელსაც ის ეძებს არ მოვა და ვერ აღდგება, ის დაკარგულია სამუდამოდ, მაშინ დანაშაულის გრძნობისა და თვითგვემის მდგომარეობიდან გამოსავალი აღარ რჩება. ეს მსჯელობა მუშაობს სრული დამოკიდებულებიდან დედისგან დამოუკიდებლობის განვითარების ეტაპზე გადასვლის დროს.

## ნაწილი V: ძიება და დათრგუნვა: ბრძოლა მიღწევებისთვის

შიზო-ისტერიკული პოზიციის და პარანოიდულ-დეპრესიული პოზიციის პრობლემები შესაძლოა ცალ-ცალკე აღმოცენდეს, მაგრამ ასევე შესაძლებელია მათი ერთდროულად არსებობა. არიან დეპრესიული ადამიანები ძლიერი შიზოიდური კომპონენტით და ასევე ისტერიული ადამიანები პარანოიდული სტრუქტურული ელემენტით. ეს ყველა კომპონენტი ან მათი ნებისმიერი კომბინაცია საფუძვლად ედება განვითარების მესამე და მეოთხე ციკლებში ჩამოყალიბებულ დაცვით მექანიზმებს.

როგორ ხასიათდება გამოკვლევის (ძიების) ფაზა? ძიება ფაქტიურად ნიშნავს გადინებას, მიყოლას. ძიების ტიპის ქცევები ახასიათებს ისეთ მარტივ ერთუჯრედიან ცხოველებს როგორც მაგალითად ამებაა, თუმცა უფრო მაღალი განვითარების ცხოველებში ეს როგორც წესი ასოცირდება საცხოვრებელი სივრცის ძიებასთან დაკავშირებულ მოძრაობასთან. ძუძუმწოვრების შემთხვევაში, რომლებსაც დედასთან მიჯაჭვულობის უფრო ხანგრძლივი პერიოდი ახასიათებთ, ძიების მთავარი ფაზის ინიციაცია ხდება გადაადგილების უნარის განვითარების მომენტიდან, როდესაც ძუძუმწოვარს შეუძლია სამყაროში დამოუკიდებელი პირველი ნაბიჯები გადადგას დედის გარეშე. ანტონი ბარნეტი, გლაზგოს ზოოლოგი, რომელიც შეისწავლის ცხოველების ძიების ქცევას, ასკვნის:

“ასეტი ტიპის ქცევა დამოკიდებულია ფიქსირებული ორიენტაციებისგან გათავისუფლებაზე, რომელიც აძლევს დამოუკიდებლობის უფლებას არსებული გარემოს მოთხოვნებიდან გამომდინარე”. (21)

ალექსანდრე ლოუენი, აბსოლუტურად დამოუკიდებლად, ვარაუდობდა რომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლებები ფუნდამენტური უფლებებია,

რომელთა გაღიზიანება იწვევს ფსიქოპათიურ და მაზოხისტურ ხასიათის რეაქციებს. ლოუენისთვის თავისუფლება ნიშნავს რომ არ ხარ სხვათა საჭიროების სუბიექტი, უფრო კონკრეტულად მშობლების კონტროლის სუბიექტი. დამოუკიდებლობას კის უკავშირებს ბავშვის უნარს განავითაროს საკუთარი თვითმმართველობა მშობლების მოთხოვნებთან ოპოზიციონირებით. მართალია ჩემთვის მთლად გასაგები არ არის რითი განსხვავდება თავისუფლება და დამოუკიდებლობა და მე მათ აღვიქვამ როგორც საკუთარი გარემოს ძიების და გადაწყვეტილების მიღების ორ ასპექტს, ისევე როგორც ამას ანტონი ბარნეტი განსაზღვრავს. ამ კუთხით, ნათელი ხდება როგორ ყალიბდება ფსიქოპათიური და მაზოხისტური დაცვითი რეაქციები როგორც დათრგუნვის პოლარიზებული რეაქციები, ძიების ძირითადი დამაბრკოლებელი მექანიზმის საპასუხოდ.

ლოუენი დათრგუნვას მიაწერს მოვლენებს რომლებიც ვითარდება ცხოვრების პირველიდან მესამე წლის ჩათვლით. დათრგუნვა მოდის ზედმეტად ფრთხილი, ზედმეტად ყურადღებიანი და ზედმეტად ინტერესიანი დედისგან. ბავშვის კარგადყოფნაზე მატერიალური ინტერესი ანაცვლებს სინაზეს და სითბოს, რომლებიც საჭიროა ახალი ინდივიდის მზარდი დამოუკიდებლობის პროცესის ხელშესაწყობად. ამას შეგვიძლია ვუწოდოთ ხუთვა და არა დედობა. ამ დამოკიდებულების გამოვლენა იძულებითი კვება, შფოთვა და ზედმეტი ინტერესი კუჭის მოქმედების ფუნქციასთან დაკავშირებით, ზედმეტი შფოთვა ბავშვმა არ იტკინოს რაიმე. ეს ყველაფერი სიყვარულის სახელით ხდება, თუმცა რეალობაში მიმართულია ბავშვის მზარდი ეგოს დასათრგუნად. რეზისტენტულობა და აჯანყების მცდელობა მალე უნდა გამოვლინდეს, მაგრამ თვითმმართველობა და თვით-რეგულაცია აკრძალულია. ასეთი “დედამ უკეთესად იცის” მიდგომის შედეგად ბავშვის სული ფაქტიურად ტყდება”. (4)

წინა ორ ფაზაში (მიჯაჭვულობა და მხარდაჭერა) ორი პოლარიზებული დაცვითი რეაქციის განმსაზღვრელად გამოიყენებოდა ტრანს მარგინალური სტრესის იდეა, როგორც ზღვარი აქტიური და პასიური პროტესტის ფორმის გამოყენებაში. ძიების საჭიროების დროს წარმოქმნილ დათრგუნვის საფრთხის წინააღმდეგ ბავშვს აქაც ორი ტიპის რეაქცია უვითარდება და რომელ მიმართულებას აირჩევს, დამოკიდებულია სტრესის სიძლიერეზე. ძირითადად, ამ დროს მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისთვის და თუ მშობელი იმარჯვებს ბავშვის ნების და სულის გატეხვით, ამ შემთხვევაში ყალიბდება მაზოხისტური ხასიათის თავდაცვა. მეორეს მხრივ, თუ ბავშვის რეაქცია ამტკიცებს მის საკუთარ ძალაუფლებას და კონტროლს, ეს ფსიქოპათიური ხასიათის დაცვით რეაქციის ჩამოყალიბებას განაპირობებს.

სხეულის გრძივი პულსაციის დეფორმაცია ან გატეხვა ენერჯის მეტაბოლიზმისთვის ძირითად საფრთხეს წარმოადგენს. ის იწვევს ენერჯის სხეულის ქვედა ნაწილებში შეკუმშვას, შესაბამისად მენჯის გარშემო შეშუპვებს და ენერჯის ბლოკირებას, და სხეულის ჰიპერაქტიულ, მაზოხისტური ტიპის მოხრილობას. ან ენერჯის გადაადგილებას სხეულის ზედა ნაწილებში და მკერდის და თავის სფეროების ექსპანსიას (გაფართოებას). მთავარი ორივე შემთხვევაში არის ის, რომ სხეულის ზედა ან ქვედა ნაწილები განიცდის ზეწოლას, რომელიც გრძივი სხეულის დეფორმაციას იწვევს უფრო მეტად ვიდრე ეს სხვა სტრუქტურებში ვლინდება.



## ანალურობა და გადაადგილება

რეაქციის ორივე ეს პატერნი ყალიბდება როგორც ფროიდი უწოდებდა “ანალური” პერიოდში. რა კავშირია ანალურობასა და ძიებას შორის? ბიორნ ქრისტიანსენი შემდეგნაირად გვიხსნის:

“გამოყოფის პროცესი უფრო მეტია ვიდრე სიამოვნების პასიური გამოცდილება. ბავშვისთვის ის გარემოსთან შეხების ახალი არეალია. გამოყოფის პროდუქტები ბავშვის პოზიტიურ ინტერესს იწვევენ. გემოს, სუნის და შეხების შეგრძნებები გააქტიურებულია და პროცესი ბავშვისთვის თვითგამოკლვევის ნიადაგს ამზადებს. ანალური პროდუქტის “გაშვებით”, რომელიც მისი ნაწილია გარკვეულწილად, ბავშვი სიმბოლურად “უშვებს” საკუთარ დედასთან ურთიერთობასაც, ხსნის ჯაჭვს”.

ამ ურთიერთობის კავშირის გაწყვეტა ემთხვევა სიარულის დაწყების პერიოდს. გერდა ბოიესენი ამას შემდეგნაირად აღწერს:

“საკუთარი სურვილების დაცვისგან მიღებული სიამოვნება მჭიდრო კავშირშია სხეულის დინებების შეგრძნებებთან, რომლებიც აღწევს დუნდულა კუნთებამდე - სხეულის ნაწილი რომელიც “საკუთარ ფეხზე დადგომას “ უზრუნველყოფს. ეს დინება სხეულს ზევით აღმართავს და კორპუსს დამოუკიდებელს ხდის, ასევე ასწორებს კისერს. ეს ადამიანს აძლევს საკუთარი თავის შეგრძნებას, საკუთარი დამოუკიდებლობის აღქმას და თვითშეფასებას როგორც დამოუკიდებელი არსებობის მატარებელი ღირებულება. ეს პროცესი ხელს უწყობს თავისუფალ სუნთქვას და სწორი ტანადობის ჩამოყალიბებას, ასევე ბუნებრივი ღირსების აღქმას რომელიც დამოუკიდებელი ადამიანური არსებობის მანიშნებელია”. (18c)

სიამოვნებით სიარული - გრავიტაციის ძალას და ამ ძალის საწინააღმდეგო ძალას შორის კომპრომისია. ძალიან რომ მიუშვა ნიშნავს დაეცე და განადგურდე, ძალიან რომ მოეჭიდო, ტანადობას ჰაერში გამოკიდებულს ტოვებს. ორივე ხელს უშლის ბუნებრივ სიარულს და შესაბამისად მიწაზე დგომასაც და მიწაზე გადავლის პროცესსაც. დიდი დოზით მიშვება ასოცირებულია ჰიპოტონურ კუნთებთან, ხოლო მოჭიდება - ჰიპერტონურ კუნთებთან. ბრაატოვი შემდეგნაირად აღწერს ანალურ ფუნქციასა და ტანადობის ტიპებს შორის კავშირს:

“ბავშვის ქოთანზე მიჩვევა თუ საჭიროზე ადრე ხდება, ეს ნიშნავს რომ ბავშვს ცდილობთ გაარჩევიო სპინქტერის მექანიზმები მაშინ როდესაც სპინქტერის რელაქსაცია ჯერ ქვედა კიდურების მთლიან რელაქსაციასთან ერთად ხდება. ქოთანზე მოშვება ამ ასაკში ნიშნავს ქოთნიდან გადმოვარდნის დიდ რისკს. შესაბამისად ბავშვის სიჯიუტე ზოგჯერ, ამ სიტუაციებში საფუძველს მოკლებული სრულიად არ არის”. (22 p.173)

ლოუენი ასევე გვარწმუნებს რომ, ის ფაქტი რომ ბავშვი იძულებულია გამოიყენოს საჯდომი კუნთები და ბარძაყები იმისთვის რომ ანალური კონტროლი შეძლოს, იწვევს ფეხების იმობილიზაციას და შესაბამისად სიარულის და დგომის ხარვეზებს.

საკუთარი ტემპით ძიების შესაძლებლობის ქონა განსაზღვრავს წარმატების მიღწევით გამოწვეული ბუნებრივი სიამოვნების მიღების უნარს. აქ მთელი სიამოვნება კეთებასა და შექმნაში, ფორმის მიცემაშია:

“ბავშვი ინტერესდება უფრო და უფრო მეტად საგნებით, სათამაშოების დაშლა და აწყობა, დაცარიელება და შევსება, აშენება და დანგრევა მას სიამოვნებას ანიჭებს (15 p.112)

სწორედ აქ არის ხელოვნების და მეცნიერების საწყისი, თამაშის საფუძვლები და პროდუქტიული მუშაობით მიღებული დაკმაყოფილების წინაპირობა: "ბავშვის დეფეკაციის პროდუქტი პროდუქტიულობის პირველი ფორმაა. დეფეკაციის პროცესი თვითონ პირველი ტესტია თვით-კონტროლის. განავალი თავდაპირველად იწვევს ინტერესს, როგორც რაღაც რასაც უშვებ, შემდეგ უკვე ეს ხდება მანიპულაციის ობიექტი და რაღაც რაზეც ის თავად იღებს გადაწყვეტილებებს. ეს მანიპულაციები და გადაწყვეტილებები წარმოადგენს ზუსტად შიდა ავტონომიის განვითარების საწყის ფორმას. და მიუხედავად იმისა რომ ანალური ასპექტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ის მაინც ნაწილია მთლიანი საკითხის, რასაც ბავშვის ზოგადი ფსიქიკური და მოტორული კონტროლი წარმოადგენს". (15 p.113-4)

გამოკვლევის (მიების) ფაზის დროს, ხასიათის დაცვითი რეაქციები კონტროლისთვის ბრძოლას უკავშირდება. ბავშვი შესაძლოა დაწვდეს მშობლებს და გარეგნულად მიიღოს მათი კონტროლი და მათგან წამოსული დათრგუნვა. ან ის შეიძლება შეეწინააღმდეგოს და განიმტკიცოს საკუთარი კონტროლი იმისთვის რომ მოიპოვოს ძალაუფლება მშობლებზე. მესამე შესაძლებლობა ამ ორს შორის ჩნდება და გულისხმობს კონტროლის ენერჯის გამოყენებას საკუთარი თავის მიმართ, საკუთარი თავის მაკონტროლებელი ფუნქციის განვითარებით, პირობითი დამოუკიდებლობის მიღებას მშობლებისგან.

## მაზოხისტური მორჩილება და ფსიქოპათიური მუქარა

მაზოხისტური ხასიათის ენერჯის დინამიკას გადასარევად და ნათლად აღწერს რეიხი (1), ხოლო ლოუენი უფრო აფართოებს და აღრმავებს ამ დინამიკის გაგებას. (4) რეიხის ანალიზი ეყრდნობა ფროიდის აღმოჩენას, რაც გულისხმობს რომ "მაზოხიზმი და სადიზმი აბსოლუტურ ანტითეზისს არ ქმნიან, რომ ერთი არასოდეს არ ჩნდება მეორეს გარეშე. მაზოხიზმი და სადიზმი ერთმანეთში შეიძლება გარდაისახონ". რეიხმა ეს ურთიერთობა დაინახა როგორც "დიალექტიკური ანტითეზისი". რეიხი ასევე ხაზს უსვამს, რომ სადისტური აგრესია მხოლოდ ანალურ ფაზას არ უკავშირდება, როგორც ფროიდი უშვებდა. ის ანსხვავებს ორალურ სადიზმს, რაც წოვასთან დაკავშირებულ გაღიზიანებებს უკავშირდება (და კავშირშია ამ ნაშრომში აღწერილ პარანოიდულ-დეპრესიულ ანტითეზისთან); ანალური სადიზმი დაკავშირებულია ანალური სიამოვნების მიღებასთან დაკავშირებულ გაღიზიანებებთან და გამოიხატება სურვილში შედგეს, აჯობოს და სცემოს (აქ კავშირია ფსიქოპათიურ-მაზოხისტურ ანტითეზისთან), ფალოსური სადიზმი, რომელიც გენიტალური სიამოვნების მიღების გაღიზიანებიდან გამომდინარეობს და და დაკავშირებულია განვითარების ციკლის მეოთხე ფაზასთან. სადიზმის პირველი სამი ფორმა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ისე რომ ფალოსური ხასიათის სტრუქტურაში (რომელსაც ავლწერ მოგვიანებით) ხშირად შეგვხვდება ფსიქოპათიური და/ან პარანოიდული ქვე-სტრუქტურა.

ფსიქოპათიურ ტიპაჟზე ბევრი არ დაწერილა და ერთ-ერთი მიზეზი ამისა შეიძლება ისიც იყოს რომ ასეთი ადამიანები იშვიათად მიმართავენ თერაპიას, რადგან თერაპია მათთვის გულისხმობს გარკვეულწილად იერარქიულ ურთიერთობას. ფსიქოპათი ადამიანი ზეწოლის საფრთხეს ხშირად დაჩაგრულობით ხვდება. მისი გატეხვის მცდელობას ის უპირისპირებს ზედმეტ ამტანობას. ჩარლზ რიკროფტი, თავის ძალიან საიტნერესო წიგნში "შფოთვა და ნევროზი", სადაც ის ცდილობს ხასიათის რეაქციები წარმოაჩინოს როგორც ბიოლოგიური რეაქცია სტრესზე, განასხვავებს დაცვის მექანიზმებს თავდასხმის და დანებების ფორმით. ის თავდასხმით რეაქციას უკავშირებს მისი თქმით ობსესიურ (ამოჩემებულ) თავდაცვას და აქედან გამომდინარე ნათელია რომ ეს განსაზღვრება ფარავს

ფსიქოპათიური კონტროლის სურვილის ელემენტებსაც და კომპულსიური ხასიათის თვითკონტროლის საჭიროებასაც.

“ობსესიური თავდაცვა მოიცავს შფოთვის გამკლავების მცდელობას, რომელიც ყველა ადამიანურ ურთიერთობას ახლავს. ის სხვებშიც და თავისთავშიც, ნებისმიერ სპონტანურ ტენდენციას აღიქვამს როგორც საშიშ დამპყრობელს რომელიც შემოიჭრა სრული ძალაუფლებით და ცოდნით აღჭურვილ ტერიტორიაზე. შესაბამისი რეაქციაც ძალიან ჰგავს ცხოველურ სტრატეგიას, როდესაც უცხო იპყრობს მის ტერიტორიას, ის ცდილობს თავდასხმით გააძევოს მტერი საკუთარი ტერიტორიიდან ან დაიმორჩილოს. როდესაც დამპყრობელი საკუთარი გაუცხოებული ნაწილია, თავდასხმაზე რეაქცია ვლინდება როგორც რეპრესია. თუ ეს სხვისი სპონტანური ქცევაა, ეს იწვევს კონტროლის და დომინირების მცდელობას მათზე და მათი დამოუკიდებლობის უფლების უარყოფას. (12)

ეტოლოგებს შესწავლილი აქვთ ცხოველების რეაქციების პატერნები, განსაკუთრებით მათიმიზნობრივი ქმედებები. (21) ისინი განასხვავებენ საფრთხეზე მიზნობრივ ქმედებებს, როდესაც ცხოველის ტერიტორიას იპყრობენ (საფრთხე), როდესაც ცხოველი თვითონ აღმოჩნდება სხვის ტერიტორიაზე (დანებება) და შერეული შემთხვევა როდესაც ცხოველი საკუთარი ტერიტორიის ზღვარზე აღმოჩნდა (გადაადგილება). მშობელსა და ბავშვს შორის კონტროლისთვის ბრძოლა, ტერიტორიის გამო ბრძოლის ექვივალენტურია ხასიათის რეაქციის ჩამოყალიბების პერსპექტივიდან. პირველად ეტაპზე ეს ტერიტორია ბავშვის საკუთარი სხეულია, შემდეგ კი ის სივრცე რომლის შეცნობასაც ის ცდილობს. ბავშვი თუ დაუშვებს საკუთარ სხეულზე სხვის უფლებებს, და დანებდება მშობლის მაცდუნებელ ან მხუთავ სტრატეგიას, ის თმობს სასიცოცხლო ტერიტორიას. იმ შემთხვევაში თუ ბავშვი იმტკიცებს საკუთარ დომინირებას, მან შეიძლება საფრთხე შეუქმნას მშობლის უფლებებს. როდესაც მაზოხისტი აიდენტიფიცირებს საკუთარ დანაშაულის და სირცხვილის შეგრძნებას, როგორც წესი ამის იქით იმალება და დანაშაულების და ბრახის საწინააღმდეგო ტენდენციები. იგივე შეიძლება ითქვას ფსიქოპათზე ოღონდ შებრუნებით.

ლოუენი შემდეგნაირად აღწერს მშობელსა და ბავშვს შორის კონტროლისთვის ბრძოლას:

“პრინციპის ამბავია არ გაატანინო ბავშვს საკუთარი გზა. ბავშვი გრძნობს ანტაგონიზმს და რეაგირებს ზედმეტი აგრესიულობით. როგორც კი კონფლიქტის ხაზები იხატება, ბრძოლის შედეგი შეიძლება მხოლოდ კატასტროფული იყოს. თუ მშობლები თავს შეიკავებენ დანაშაულის გრძნობის გამო ან იმისთვის, რომ უბრალოდ გააჩუმონ ბავშვი, ამით მას აფუჭებენ. თუმცა, მიხვდებიან რა საკუთარ სისუსტეს, შემდეგში ეცდებიან უფრო მკაცრი ზომები მიიღონ. ამ დროს ბავშვი, რომელმაც ისწავლა როგორ შეუძლია თავისი გაიტანოს, ეცდება უფრო მეტი დისკომფორტი შეიტანოს შემდეგში და იბრძოლოს უფრო მეტი მონდომებით. ამ დაუსრულებელ ჭიდაობაში გადის დრო, პერიოდულად მშობლების გამარჯვებით და პერიოდულად სრული დანებებით. ბავშვისთვისაც ეს ხდება თვითმიზანი - ოპოზიცია გაუწიოს მშობლის ნებისმიერ მოთხოვნას.”

“ბავშვს, რომელიც ასეთ ოჯახში იზრდება ცხოვრების რწმენა არ უვითარდება. მან ისწავლა რომ მას შეუძლია რაც უნდა მიიღოს მხოლოდ ზემანევირებით და ოპოზიციის უფრო ხმამაღალი ხმით მოგერიებით. მისი ოპონენტები კი არიან ის ადამიანები ვისი სიყვარულიც მას სჭირდება და ეს მოგვიანებით გავრცელდება ყველა ადამიანზე რომელთანაც მას ინტიმური ურთიერთობა მოუწდება. მან ასევე ისწავლა როგორ იმანიპულიროს ადამიანების დანაშაულის შეგრძნებებით და რასაც ბულინგით ვერ მიაღწევს, ამ ტაქტიკით მიიღებს ყველა შემთხვევაში. ასეთი გამოცდილებების შედეგად ყალიბდება სადო-მაზოხისტური ხასიათი. (8 p.164)



სადო-მაზოხისტური ურთიერთობა გამოკვლევის (მიების) ფაზის პოლარობას გამოხატავს. ფსიქოპათიური და მაზოხისტური ხასიათი ერთმანეთის მეორე მხარეა. ყველა მაზოხისტი მორჩილების მიღმა იგროვებს ბრახს და დომინირების დათრგუნულ სურვილს, რაც ასე აშკარად ახასიათებს ფსიქოპატს, ხოლო თავის მხრივ ყველა ფსიქოპატის დომინირების მიღმა იმალება დაცინვის და განადგურების შიში. მათ შორის ბრძოლა, თუ მათ შორის კავშირი ხდება, შემდეგნაირად მიმდინარეობს:

მაზოხისტი ტყდება, მაგრამ ფსიქოპატიც ტყდება. მაზოხისტი ნებდება და იტანჯება მშვიდობის შესანარჩუნებლად, ხოლო ფსიქოპატი დომინირებს და ტანჯავს ხალხს ომის მოგების მიზნით. თუ მაზოხისტი ძალიან შეშინდა, ის შეიძლება 180 გრადუსით შეიცვალოს და გახდეს აგრესორი, თუცა არა დიდი ხნით. მას ურჩევნია დაგარწმუნოს ან მიგიყვანოს იქამდე, რაც უნდა და მერე დამშვიდდება. ფსიქოპათს არ შეუძლია წაგება, ისევე როგორც მაზოხისტს არ შეუძლია მოგება. ფსიქოპათი თავზე გადაუვლის ადამიანებს და საერთოდ არ სცემს მათ საჭიროებებს პატივს. მაზოხისტი ვარდება მაზოხისტურ დეპრესიაში და იქცევა ნაცემივით. ნებისმიერ შენიშვნას ის იღებს როგორც საოცარი დამცირებას და სახის დაკარგვას. მისი თავდაცვა ხდება სხვისი დამცირება. მაზოხისტს სურს სიახლოვე და ინტიმურობა, მაგრამ მტრულ განწყობას იწვევს ამის მისაღწევად. მაზოხისტი ეშვება ძირს, ეკიდება, თავს ხრის. ფსიქოპატი ზევით მიიწევს, ხალხსი ზემოთ დგება. მაზოხისტმა შესაძლებელია საკუთარი ცხოვრება მიუძღვნას სხვას რომ დაუმტკიცოს სიყვარული; ფსიქოპატი მთელ ცხოვრება შეუძლია გაატაროს მოლოდინში რომ მიიღოს სხვებისგან რასაც ითხოვს.

მაზოხისტური პოზიციას კოლაპსისგან კომპულსური ძალისხმევა იცავს, ამიტომაც მაზოხისტური ხასიათის თავდაცვა შეიცავს კომპულსიურობის ელემენტებს. ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ერთის მხრივ მას ახასიათებს, როგორც ლოუენი აღწერს, “მე ვცდილობ გასიამოვნო” და მეორეს მხრივ “მე არასოდეს დაგნებდები, რაც არ უნდა მიქნა”.

შენიშვნა კომპულსიურობაზე

კომპულსიური ხასიათი შეიძლება ავლწეროთ როგორც ანალური კონტროლის პრობლემებიდან განვითარებული დაცვითი რეაქცია და ასევე როგორც გენიტალური ფაზის დროს წარმოქმნილი რიგიდულობის ტიპი. ლოუენი ადრე წერდა:

კომპულსიური ხასიათის კონცეფცია ფართოდ გამოიყენება ანალიტიკურ წერაში. რეალურად ეს არის სიმპტომზე და არა მის მიღმა არსებულ დინამიკურ სტრუქტურაზე დაფუძნებული კლასიფიკაცია. თვითონ კომპულსია წარმოადგენს მაზოხისტური კოლაპსის ან მარცხის საწინააღმდეგო დაცვით მექანიზმს. თუ ის მაზოხისტისთვის სუსტი დაცვითი მექანიზმია, რიგიდული სტრუქტურისთვის საკმაოდ ძლიერ თავდაცვას წარმოადგენს. ჩვენ კომპულსიას რიგიდულ ხასიათს მივაკუთვნებთ მხოლოდ იმიტომ, რომ დაცვითი მექანიზმი კარგად მუშაობს და კოლაპსს და მარცხს აცილებს თავიდან. (4 p.139)

რიგიდულობა, როგორც ლოუენი უსვამს ხაზს, ყოველთვის გენიტალური პრობლემაა, თუმცა მისი ჩამოყალიბება შესაძლოა გენიტალური გაღიზიანების გარდა სხვა ფაქტორებს უკავშირდებოდეს. დათრგუნვაზე, რაც ამ პერიოდს უკავშირდება, რიგიდული რეაქცია კომპულსიური ტიპის ერთერთი შესაძლო რეაქციაა; თუ ის წარმატებულია, რეაქცია ბუნებრივად გრძელდება როდესაც სექსუალობაში შემოდის ფრუსტრაცია. ნამდვილი კომპულსიური ხასიათი არის საფრთხესა და მორჩილებას შორის კომპრომისის შედეგი და შედეგად ვიღებთ ნევროზულ სიმპტომში გამოხატულ გადაადგილების ქმედებებს.

სექსუალობაში ამის დაჭერა შეიძლება მოხიზვლასა და გაუპატიურებაში. სასარგებლოა კომპულსიურობის სამი ასპექტის დანახვა: კომპულსიური დომინანცია, რაც ფსიქოპათიურ რეაქციას იწვევს, კომპულსიური თვით კონტროლი, რაც ტრადიციულ კომპულსიურ ხასიათს ახასიათებს და კომპულსიური მორჩილება, რაც მაზოხისტურ პოზიციასთან არის კავშირში.

ნებისმიერი დაცვითი რეაქცია, რომელიც ბავშვს გამოკვლევის ფაზაში წარმოქმნილი საფრთხეების საპასუხოდ უვითარდება, საკმაოდ მძიმედ აისახება მუშაობის ფუნქციით სიამოვნების მიღების უნარზე. ბავშვი კარგავს შინაგან კავშირს საკუთარ პროდუქტიულობასა და კრეატიულობასთან. მიღწევების მიმართ აბიციური დამოკიდებულება ბლოკავს შექმნის და ფორმირების პროცესით მიღებულ სიამოვნებას. მისი თვითშეფასება შეზღუდულია პროდუქტიულობით, ან მისი პროდუქტიულობა პერფექციონისტურად ორიენტირებულია ფორმაზე, კეთების და შექმნის ნაცვლად (15 p.116), თამაშის და გამოგონების სიხარულს ანაცვლებს ძალისხმევა ან ძალდატანება, რაც თვის მხრივ მეორდება ურთიერთობებში, განსაკუთრებით მათ სექსუალურ ცხოვრებაში.

## ნაწილი VI კომუნიკაცია და უარყოფა: პირადი სივრცისთვის ბრძოლა

ურთიერთობა ნიშნავს კონტაქტის დამყარებას. ჩვენ შეგვიძლია შევეხოთ ადამიანებს სიტყვებით, საუბრით, მაგრამ ეს კომუნიკაციის უფრო გვიანდელი ფორმაა. ჩვენ ასევე შეგვიძლია სხეულით ურთიერთობა. “კომუნიკაცია ცივი ინტელექტუალური პროცესი არ არის, პირიქით ის ერთადერთი გზაა რითიც შეგვიძლია ერთმანეთს გავუზიაროთ ემოციები და გრძნობები, და შესაბამისად ინფორმაცია ჩვენს შესახებ”. (24)

როდესაც ძლიერ გრძნობას განვიცდით, ჩვენი სხეული იწყებს მოძრაობას. გრძნობის აყოლა ნიშნავს ავეყვით სხეულის მოძრაობებს, რომლებიც მას გამოხატავს. რაიხი სამი ტიპის სხეულის მოძრაობას გამოყოფდა: ადამიანებისგან შორს, ადამიანებისკენ და ადამიანების წინააღმდეგ. ჩვენ ადამიანების წინააღმდეგ ვმოძრაობთ ბრაზით და სიძულვილით, ჩვენ მათგან მივდივართ შიშით და გაქცევით, ჩვენ მათკენ მივდივართ სიამოვნებით და სიყვარულით.

სხვა ადამიანთან სხეულით კონტაქტს ბევრი ტაბუ ადევს. ეს ტაბუ განსაზღვრავს ვისთან და რა ფორმით შეიძლება ურთიერთობა. არეგულირებს უსაფრთხო შეხება სხეულის რა ნაწილებთან შეიძლება და რასთან არა. ჩვენს კულტურაში შეხებაზე ზოგადი ტაბუც მოქმედებს. ამის გამო, ადამიანები შეხებას მოწყურებული არიან. იან სუტიეს თქმით, ტაბუ სინაზის გამოხატვაზეც მოქმედებს. (25)

გარემოს შეცნობის ბუნებრივი ლტოლვა მოიცავს საკუთარი სხეულის და სხვათა სხეულების შეცნობის სურვილსაც. პატარა ბავშვებში ამას სპეციფიური ორგასტიკული მიმართულება, რაც ზრდასრულ სექსუალობას ახასიათებს არ აქვს. ის უფრო ეხება მთლიანი სხეულის შეგრძნებების ეროტიკულ სიამოვნებას, მ.შ. გენიტალური შეგრძნებებით სიამოვნებას.

## გენიტალური თამაშები

“სექსუალური თამაშები”, წერს ბიორნ ქრისტიანსენი, “ ძირითადად კონცენტრირებულია ორმხრივ გრძნობასა და შეხებაზე და სხეულით თამაშის ფორმით ვლინდება. ხუთი -ექვსი წლის ბავშვებში ზოგჯერ შეიმჩნევა თამაშის ელემენტები, რომლებიც ზრდასრული ადამიანების სექსუალური ქცევის იმიტაციას ახდენს. ვინაიდან ასეთი პატერნები შეიმჩნევა ისეთ გარემოში, სადაც ბავშვებს სავარაუდოდ არ ჰქონდათ შესაძლებლობა რომ დაენახათ ზრდასრულთა სექსუალური ქცევა, შეიძლება ვივარაუდოთ რომ ეს ქცევები ინსტინქტური, თანდაყოლილი ხასიათისაა. რეაქციები ბიჭებში როგორც წესი შედრწევიით, ხოლო გოგონებში მიმღებლობითი ხასიათისაა. (15 p.118)

რაიხი სექსუალური თამაშების წინააღმდეგ ტაბუს, სცენისა და მდელოს მეტაფორით ხსნიდა. სცენა გამოხატავს ადამიანების მიერ შექმნილ სოციალურ სტრუქტურას, ხოლო მდელო ბუნებრივ ფუნქციას:

“სცენაზე კანონით არის აკრძალული 3 ან 5 წლის საწინააღმდეგო სქესის ბავშვების ჩახუტების ჩვენება და განხილვაც კი და ჯარიმით და/ან ციხით ისჯება. სადღაც, მაყურებელში ზის ადამიანი, ემოციურად გატეხილი, სავსე პერვერსიული სურვილებით და სიმულვით დაკარგულის მიმართ ან იმის მიმართ რაც არც არასდროს არ ჰქონია, რომელიც მზად არის გაიქცეს რაიონის ადვოკატთან საჩივრით რომ ბავშვებს სექსუალური და ამორალური მიზნებისთვის იყენებენ. მდელოზე კი ბავშვების ჩახუტება როგორც პატარა სასწაული ისე ჩანს: რატომ მიიწევს ორი ორგანიზმი ერთმანეთისკენ ასეთი ძალით? ამ ეტაპზე ხომ გვარის გაგრძელების იმპულსი ჯერ არ არის, და არანაირ ოჯახის შექმნაზე არ არის ლაპარაკი. ახალდაბადებულს რაღაცნაირად მოჰყვება სხვა ორგანიზმთან შეერთების მუხტი. მაგრამ სცენაზე ეს მუხტი საფარის ქვეშ მიყუჩებული იწვის და ბოლს უშვებს.” (26)

ამსიტყვების შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა. დასავლურ კულტურაში სოციალური ნორმების დიდი ცვლილებები მოხდა. სექსუალობის გამოვლენა აშკარად, სცენაზე და ეკრანზე არა მხოლოდ დააშვები, არამედ მნიშვნელოვანი გახდა. ეგრეთწოდებული სექსუალური რევოლუცია ტაბუს მოხსნით და თავისუფლების დიდი ხარისხით დაუპირისპირდა წინა პერიოდის რეპრესიებს და ფრუსტრაციას. სამწუხაროდ ეს ყველაფერი უფრო ზედაპირულ დონეზე მოხდა და რეალურად დიდი ფუნდამენტური ცვლილებები არ მომხდარა. ის სექსუალობა, რომელიც საფარიდან გამოვიდა ძირითადად მხრჩოლავი სექსუალობაა, რომელიც საუკუნეების ფრუსტრაციის შედეგია.

“სცენაზე”, წერს რაიხი, “ორ ბავშვს, ან ორ მოზარდს, ან ორ ზრდასრულს შორის ჩახუტება გამოიყურება როგორც სამარცხვინო, მძიმე საყურებელი აქტი. გარეთ კი, ვარსკვლავების ქვეშ ორი სხეულის ჩახუტებაზე არასოდეს იქნება მსგავსი რეაქცია. ჩვენ არასდროს ვიძაბებით ორი ბაყაყის ან თევზის ან ცხოველის შეხების დანახვისას. ჩვენ შეიძლება გაგვიტაცოს, ემოციურად შეგვარყიოს ასეთმა აქტმა, მაგრამ ეს არ იქნება ბინძური ან მორალისტური სენტიმენტები”. (26)

კულტურაში სექსუალობის დღესასწაულობასა და მის დეგრადაციის დამოკიდებულება დეტალურად არის განხილული სხვა წყაროებში (27,28) და აქ აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას.

ცხოვრების გვიანდელ ეტაპზე სქესობრივი ურთიერთობის უპრობლემოდ განვითარებისათვის, საჭიროა ბავშვის სქესობრივი მომწიფების ემოციური მხარდაჭერა. “ჩვენ ვფიქრობთ რომ ბავშვისთვის გარემოდან ემოციურ მხარდაჭერას ძალიან დიდი



მნიშვნელობა აქვს შემეცნების პროცესში. განსაკუთრებით ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვს ჰქონდეს საკუთარი ასაკის ბავშვებთან სოციალური და სხეულის ურთიერთშეთამაშების შესაძლებლობები. არსებობს მოსაზრება რომ მაიმუნებში ბავშვობის დროინდელი თანატოლებთან ურთიერთობა და სხეულით თამაში პრე-რეკვიზიტი იყო მათი შემდგომი ნორმალური სექსუალური ფუნქციონირებისთვის. სავარაუდოდ მსგავსი კავშირი არსებობს ადამიანებშიც. . . თუ ბავშვს არ აქვს თანატოლებთან მსგავსი ურთიერთობის გამოცდილება ან თუ ასეთი თამაში დასჯადია, უარყოფილი და აკრძალული, ბავშვის სექსუალური ინტერესები ერთმხრივად მიემართება მშობლების მიმართ და ამ შემთხვევაში ყალიბდება ოიდიპური კომპლექსი”. (15 p.118)

პოლი და ჟან რიტერი აღწერენ იმ სირთულეებს რომლებიც თან ახლავს გენიტალურ თამაშს ჩვენს კულტურაში და ამ სირთულეების გადალახვის გზებს. ისინი გამოარჩევენ ბავშვებში გენიტალურ ფრუსტრაციაზე სამ ძირითად რეაქციას:

დაბლოკილი გენიტალური შეგრძნებები და ძლიერი შფოთვა - გამოწვეული მშობლების ცხოვრებისეული ნეგატიურ ძალებით, რომლებმაც დანაშაულის გრძნობა და შიშები განუვითარა.

გენიტალური თამაში და მისგან სიამოვნების გამოცდილება არსებობს, მაგრამ დანაშაულს და შიშს განიცდის, ასე რომ ეს გამოცდილება ინახება საიდუმლოდ.

მშობლები ვერბალურად არ უზღუდავენ გენიტალურ თამაშს, თუმცა ბავშვი გრძნობს რომ ეს მოზრდილებს ძაბავს და შესაბამისად მათი გაღიზიანებისთვის იყენებს. (29)

გასათვალისწინებელია, რომ მშობლისგან უარყოფა შესაძლოა სხვადასხვა ფორმით ხდებოდეს: ეს შეიძლება მოიცავდეს პირდაპირ დასჯას, ან მაცდუნებელ მოფერებას და სხეულის სტიმულირებას, რომელსაც მოჰყვება უცაბედი უარყოფა ბავშვის საპასუხო იმპულსზე. შედეგად ვიღებთ მასიურ გაყოფას ურთიერთობის და მიერთების სურვილსა და გულითადი ურთიერთობების ან მენჯის მოძრაობის შეწყვეტას შორის.

## გულითადი გრძნობები და მენჯის მოძრაობა

“ისტორიაში”, წერს გერდა ბოიესენი, “ჩვენ გვინახავს მამაკაცის ურთიერთობა ქალთან, რომელიც გაყოფილ ხასიათს ატარებს: თუ ის გრძნობს მის მიმართ სინაზეს და სიყვარულს, არ არის სექსუალური ლტოლვა და პირიქით - ეს არის გაყოფა მონაზონი და ბოზი, ქალიშვილი და ბოზა. თუ თქვენს გულში სიყვარული დინება არსებობს, მაშინ ბუნებრივად ჩნდება სექსუალური გრძნობაც” (18c) სინაზის ან მგრძნობელობის დათრგუნვა ბლოკირებას იწვევს და თუ ეს პროცესი გაგრძელდა, შედეგად “ენერჯია გულის და სასქესო ორგანოების მიმართულებით აკუმულირდება გამოშვების გარეშე”. (18c)

ადამიანს, რომელმაც სექსუალური მომწიფება ცუდი გამოცდილების გარეშე გაიარა, ან წარმატებით გაიარა ენერგეტიკული თერაპია და აღიდგინა სექსუალური აქტიურობა, შეუძლია ზრდასრული, ღრმა სასიყვარულო ურთიერთობის დამყარება. (“ინტიმი” ხშირად დამახინჯებულად გამოიყენება მხოლოდ სექსუალურ კონტექსტში). ინტიმურობა მოიცავს კითხვას რა არის შენში და რა არის შენს გარეთ, როგორ დაუკავშირდე სხვა ადამიანს საკუთარი სხეულის საზღვარზე. შეგიძლია გასცე საკუთარი თავის ისე რომ არ დაკარგო ის? რა ხდება, როდესაც ორი სხეული ერთმანეთს შეერწყმის? შინაგანად ჩვენში არის გულითადი გრძნობები, უნებური სხეულის ვიბრაციები და დინებები

უჯრედულ დონეზე. ნამდვილი სექსუალური ურთიერთობისას ურთიერთშერწყმის პროცესში ხდება ორი დამუხტული და მგრძობიარე ენერგეტიკული სისტემის შერევა. ორგანიზმის დროს, ჩვეულებრივ მდგომარეობაში სხეულის პერიფერიაზე მყოფი, შეერთებული გენიტალიები, ხდება მთლიანი ენერჯის სისტემის ცენტრი, მუხტის წყარო და უკანადინებით განაახლებს ორივე ინდივიდს. ამ თავისუფალი დინებით ურთიერთობაში ორივე პარტნიორი აგრესიული და თან გახსნილია ერთმანეთის მიმართ. სიტყვა აგრესია ნიშნავს “მიზნისკენ მოძრაობას”. აგრესია ამ ტიპის ურთიერთობაში ნიშნავს, რომ კუნთები უნებურ მოძრაობებს მიყვება ორგანიზმის დროს, რაც სხეულის უფრო მჭიდრო კონტაქტს განაპირობებს. მიმდებლობა -ნიშნავს რომ ადამიანს შეუძლია მიენდოს მოძრაობებს და გრძობებს, რომლებიც ამ მოძრაობას მოყვება. ალება და გაცემა - ერთმანეთის დამატებითი ფუნქციებია: ერთი სიამოვნებას იღებს გაცემით, მეორე კი მიღებით. როგორც რაიხი აღწერს:

“თვეები და ზოგჯერ წლები სჭირდება რომ სხეულით გაიცნო სასიყვარულო პარტნიორი. თვითონსაყვარელიადამიანისსხეულისპოვნაუკვედიდიჯილდოა. ერთმანეთისშეცნობა და შეჩვევა გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს. ერთს შეიძლება აკლდეს სინაზე მაღალი აღტაცების დროს, მეორეს შეიძლება მინდობით ტკბობის ეშინოდეს. ერთი შეიძლება იყოს ძალიან “სწრაფი” და მეორე ძალიან “ნელი”. საერთო სიამოვნების გამოცდილების პოვნა და ორი სხვადასხვა ენერჯის სისტემის შერწყმა რომლებსაც ჩვენ ქალს და მამაკაცს ვუწოდებთ - ამის თუნდაც ძიება და უსიტყვო პოვნის გზა ნამდვილი კოსმიურ გამოცდილებაა, რასაც სიტყვებით ვერ აღწერთ. გენიტალური ჩახუტება ბუნებრივად მძაფრდება მთლიანი სხეულის ნელი მომზადებით სხვა სხეულთან შერწყმისთვის. ფინალური სრული ენერგეტიკული დაცლა ორგანიზმში პატარა სიამოვნებების ხანგრძლივი დაგროვების სპონტანური შედეგია. . . მთლიან ორგანიზმულ აღტკინებას წინ უსწრებს განსაკუთრებული გენიტალური აღზნება. ორგანოტიკული პოტენცია მთლიანი სხეულის სიამოვნებიდან გამოდის და არა გენიტალურის. გენიტალური ორგანოები უბრალოდ ფიზიკური პენეტრაციის საშუალებაა. ორმხრივი ორგონული ენერჯის ველების შეერთება ბევრად ადრე ხდება, ვიდრე ბოლო დაკმაყოფილება”. (30 p/28-9)

ბუნებრივი სექსუალური რეაქციების გაყოფა, რომელიც ბავშვობაში ან მოზარდობისას სექსუალობის უარყოფიდან გამომდინარეობს, სხვადასხვა ფორმას იღებს. სინაზე ემიჯნება მგრძობიარეობას, ისე რომ სასიყვარულო გრძობები ვერ ინტეგრირდება ცხოველურ სექსუალურ მოძრაობებთან. აგრესიული და მიმდებლობითი ასპექტები სექსუალობაში განცალკევდება და იდენტიფიცირდება მამაკაცურ და ქალურ როლებთან როგორც კულტურალური მახასიათებლები. ეს ნიშნავს რომ სხეული, თუ მას სურს იყოს კაცური, იდენტიფიცირებას აკეთებს უხეშ აგრესიულობასთან, სინაზის და მიმდებლობის ხარჯზე. თუ გოგოს სურს იყოს ქალური, ის თრგუნავს საკუთარ აქტიურ სექსუალურ მოძრაობებს და ხდება პასიური და თოჯინის მსგავსი, მკვდარი მიმდებლობის აქცენტით. ამის შედეგია ფსევდო სექსუალობა და ფსევდო მამაკაცურ და ფსევდო ქალურ როლებთან იდენტიფიკაცია ხდება თავდაცვის მექანიზმი ნამდვილი მამაკაცურობის და ნამდვილი ქალურობის წინააღმდეგ.

ალტერნატიულად, შესაძლებელია ერთგვარი აჯანყება ზოგადი როლის წინააღმდეგ და იდენტიფიცირება ხდება საწინააღმდეგო სქესის ფსევდო-მახასიათებლების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება შეგხვდეთ ქალი ფსევდო -მამრობითი სექსუალობით და კაცი, ფსევდო -მდედრობითი სექსუალობით.

ეს სიტუაცია ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ფაზაში გვხვდება ორი ფუნდამენტურად პოლარიზებული ხასიათის პატერნი, მაგრამ რადგანაც სექსუალური განსხვავებები აქ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვიდრე წინა ფაზების დროს, თვითოეული

პოლარული მხარე იყოფა ორად, რაც გვაძლევს ოთხ ძირითად ხასიათის დაცვით მექანიზმს ამ პერიოდისთვის. ტრადიციულად მათ მოიხსენებენ ტერმინებით “ფალოსური ნარცისი”, “ისტერიული”, “მამაკაცურ-აგრესიული” და “პასიურ-ქალური”.

## რიგიდულობის ორი ტიპი

საინტერესოა რა წყვეტს ემოციების დინებას და უშლის მათ გამომხატვას, ზღუდავს ბუნებრივ აგრესიულ მოძრაობას და გაბრაზებულ ბიძგად გარდაქმნის ამ დინებას? ლოუენის მიხედვით რიგიდულობა მხოლოდ სხეულის სტრუქტურებს ახასიათებთ, რომლებსაც იცავს ე.წ. კუნთოვანი ჯავშანი, ანუ შედარებით მუდმივი და ერთგვაროვანი კუნთოვანი დამაბულობა. ამ მახასიათებლებს გააჩნია მუდმივი დრაივი (მიზნისკენ სწრაფვა) და ეგოს სიძლიერე, რაც ასე აკლიათ სხვა ხასიათის პატერნებს. რიგიდულობა როგორც წესი ორი ფორმით ვლინდება, რომლებსაც ლოუენი განმარტავს როგორც “ფირფიტისებური” და “ზადისებური”. (4) მათ შორის განსხვავება მოქნილობასა და სიმყარეშია. რიგიდული ხასიათის ფუნქცია თითქოს ორი ტიპის მავთულით არის შექმნილი: მოუქნელი, გამძლე მავთული რომელიც ფართოვდება მისი მოღუნვის მცდელობისას და ელასტიური და რბილი მავთული რომელიც ზემოქმედების დროს დეფორმირებას განიცდის და ადაპტირდება ზემოქმედების მიხედვით. უხეში რიგიდულობა ასოცირდება კუნთების სპასტიკურ ჰიპერტონუსთან, ხოლო ელასტიური რიგიდულობა - მოშვებული ზედა კუნთებით, რომლებიც ფარავს სიღრმეში არსებულ კუნთების დაჭიმულობას.

ხასიათის პატერნი შეგვიძლია უფრო დეტალურად განვიხილოთ.

Free Article

## ფიზიკური ძალადობა<sup>2</sup> და შურისძიება

ფალოსურ-ნარცისული დაცვის მექანიზმი ფსევდო-მამაკაცური რეაქციის ფორმაა. ფალოსური პიროვნება -იჭრება და მისი ფალოსი ხდება ქალზე უპირატესობის და მასზე ძალაუფლების დამტკიცების იარაღი. წინა ფაზიდან გადმოყოლილი ძალაუფლებისათვის ბრძოლა გამოდის სექსუალურ განვითარების ეტაპზე და შესაბამისად სექსუალობა ხდება კეთების და შექმნის ფუნქცია და არა გაცემა -მიღების. “დინამიურად თუ შევხედავთ, ფალოსურ-ნარცისული გადაწყვეტა ნიშნავს რომ გენიტალური შემყვანი იმპულსები, ანუ იმპულსები რომელიც უბიძგებს, მოდიფიცირებულია და ძალის დატანების ფორმას იღებს. . . ჩენ ვპოულობთ მოთხოვნილებას განურჩევლად მივაწვეთ, მიუხედავად იმისა ვართ თუ არა დაპატიჟებული ან მოთხოვნილი”. (15) ფალოსური მოძრაობის სექსუალობა გაუპატიურების, ძალადობის და ქალის დაპყრობისკენ არის მიმართული. ფალოსური ნარცისისთვის ძალიან ადვილია ქალების ყურადღების მოპოვება, რადგანაც მას გააჩნია მოზარდისთვის სასურველი მამაკაცური რომანტიული გმირის იერი. კარგად განვითარებული ფალოსური გმირი როგორც ლოუენი ამბობს ხდება” ცხენზე ამხედრებული რაინდის კარიკატურა - ტყავის კურტკაში დამოტოციკლეტზე შემომჯდარი გმირი”. (31 p.296) ფალოსური პერსონაჟი იდენტიფიცირებას აკეთებს ფალოსთან, ის ამტკიცებს საკუთარ ძალას, სიმაგრეს და აგრესიას და უპირისპირდება სისუსტეს, მარცხს და დამცირებას. მისი რიგიდულობა კოლაპსის საწინააღმდეგო თავდაცვაა. მის მიერ ქალზე ძალადობა დედაზე შურისძიებაა იმ ძალადობისთვის რომლითაც ის მის ჩვილ ზონიზს მოიძისა. თითქოს ან იმიოთი სარსობის სთან რისიოისაა ის შორის იძიებს მასზე არის

2 პირდაპირი თარგმანი უფრო გაუპატიურებაა “rape”



შეკავებული პასიური ჰომოსექსუალური ლტოლვა. რაღაც ეტაპზე ფალოსური მამაკაცი ქალზე ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომლის განცდის სურვილი ექნებოდა ქალი რომ ყოფილიყო. ამ ხასიათის თავდაცვის სრული დინამიკა აღწერილი აქვთ რაიხს (1) და ლოუენს (4 p.31) და დეტალებში აღარ აღვწერთ ამ ნაშრომში.

ფალოსური მამაკაცის ანალოგად შეგვიძლია განვიხილოთ “ფალოსური ქალი” ან ფსევდო-მამაკაცური ქალი (იგივე “მამრობითი -აგრესიული”) რომელმაც მტკივნეულად განიცადა მამის მხრიდან მისი ქალურობის უარყოფა. ლოუენი აღწერს ამ დროს წარმოქმნილ აგრესიასა და მიმღებლობას შორის გახლეჩვას, ასევე საკუთარი აგრესიის ხშირად დესექსუალიზაციას. ასეთი გზით ქალი აქტიურ კონკურენციას უწევს მამაკაცებს საქმესა და მიღწევებში:

“დომინანტური კონფლიქტი მამასთან ურთიერთობაშია და ეს უფრო გვიან გადადის მამაკაც თერაპევტზე და საერთოდ ყველა მამაკაცზე მის ცხოვრებაში. . . ამას მივყავართ აგრესიული ტენდენციებით დომინანტურ მამაკაცთან მეორად იდენტიფიკაციასთან. დაბლოკილი ენერჯია გროვდება ვულვის ირგვლივ და ვერ აღწევს საშოს. თუ მამაკაცთან იდენტიფიკაცია დროში გრძელდება, კლიტორი იძენს ფალოსის მახასიათებლებს და შესაძლებელია გაფართოვდეს. ეს არის მამაკაცურობისკენ განვითარების ტენდენცია. ასეთი ქალები აგრესიული არიან სექსუალური კავშირის დროს, მაგრამ ეს უფრო დაკავშირებულია დანებების საწინააღმდეგო თავდაცვასთან. თუ ასეთი ქალი პარტნიორზე ძლიერი აღმოჩნდა, ის ხდება ძალიან ზიზღიანი და არასექსუალური. ამ დროს მამაკაცი ხდება გენიტალურ ეტაპზე წარმოქმნილი გაღიზიანებიდან წამოსული სიძულვილის მიმღები. ღრმა დონეზე ამ ქალს სურს რომ აიძულონ დანებება”. (4)

ისევე როგორც ფალოსურობა მამაკაცში პასიურ-ანალური იმპულსების წინააღმდეგ თავდაცვაა, ასევე ქალში ეს არის თავდაცვა ფსევდო-ქალური დანებების პოზიციის და მასთან დაკავშირებული ცდუნების წინააღმდეგ.

Free Article

## ცდუნება და შესაბამისობა

ფსევდო-ქალური პოზიციის აზრი ღია აგრესიის უფულებელყოფა და გახლეჩილ მიმღებლობასთან(მგრძნობელობასთან)იდენტიფიკაციაა.ჩარლზრაიკროფტიდანებებით თავდაცვას ისტერიულ რეაქციას უტოლებდა.ის აღწერს ქალთა კლასს “რომლებიც თვლიან რომ ისინი ფუნდამენტურად დამარცხებულები არიან და ამ მორჩილებით დამოკიდებულებას მუდმივად ამჟღავნებენ როგორც მამაკაცებთან, ისე სხვა ქალებთან ურთიერთობაში. ისინი სხვებს აძლევენ უფლებას რომ გამოიყენონ როგორც თოჯინა ან ტილო და არ შეუძლიათ დაამტკიცონ საკუთარი დამოუკიდებლობის უფლება ან კონკურენციაში შევიდნენ სხვა ქალებთან. ისინი უფლებას აძლევენ მესაკუთრე მშობლებს ან ეგოისტ ქმრებს მათი უფლებები უფულებელყონ. მოღალატე ქმრების და საყვარლების მიმართ, რომლებიც მათ უბრალოდ იყენებენ ისინი მუდმივად დატანჯულის პოზიციას ირგებენ. მიუხედავად ამისა, სინამდვილეში ისტერიული ჩვევითი ადაპტაციის და მორჩილებითი დაცვის მექანიზმი აგრესიას და თვითმტკიცებას კი არ აქრობს, არამედ ანდერგრაუნდში უშვებს. შესაბამისად ადამიანებში, ვინც ამ თავდაცვას მუდმივად იყენებს, პერიოდულად ხდება “რეპრესირებულის დაბრუნების” დემონური ფორმებით მანიფესტაცია. ეს მაგალითად გამოიხატება მოკლე და არაეფექტური ისტერიკის მოწყობით, ან სხვებზე კონტროლის მოპოვებით მათში დანაშაულის გრძნობის გამოწვევის ხარჯზე და ან დამარცხებული პოზიციის აღიარებით რაც სინამდვილეში სხვების შემდგომი მანიპულირებისთვის გამოიყენება. (12 p.89)

როგორც ნაჩვენები იყო, ისტერიულ რეაქციას ინფანტილური საფუძველი აქვს და ისტერიის ანტითეზის შიზოიდური დაშორება წარმოადგენს. ისტერიულ პერსონაჟს მართავს მწვავე ემოციებით გამოწვეული პანიკა რომ დედამ მიატოვა ან უარჰყო. ეს მას აიძულებს მიმართოს მამაკაცს როგორც მიჯაჭვულობის მეორად წყაროს. მას სჭირდება რომ ის აცდუნოს რომ დაუახლოვდეს და ფსევდო-ქალური იმიჯით მორჩილების გზით შეუძლია გაამჟღავნოს ეს საჭიროება. ნამდვილი დანებება იმალება როგორც ჩაბლაუჭების ისტერიულ საჭიროებაში, ისე მამაკაცის მიმართ განრისხებაში იმის გამო რომ მან ვერ უზრუნველყო სიყვარულის იმ ფორმით და პირობებით დაკმაყოფილება, როგორც მისგან ითხოვდნენ. რაიხი აღწერს ხასიათის სტრუქტურას დაცვის ტიპიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით თუ რისგან ხდება თავდაცვა, შესაბამისად ფსევდო-ქალური (მორჩილი) ხასიათის სტრუქტურა რეალურად მკვეთრად გამოხატული ისტერიული რეაქციების: ეგზიბიციანიზმის და ექსტრავერსიის საწინააღმდეგო გზაა.

მნიშვნელოვანია არ დაგვაიწყდეს, რომ არ არსებობს წმინდა სახით ხასიათის დაცვითი მექანიზმები. მიჯაჭვულობის ფაზიდან გამოწვეული ისტერიული რეაქციები შესაძლებელია ფალოსური აქტიურობისგან<sup>3</sup> დასაცავად გამოიყენებოდეს. მორჩილი ხასიათის რეაქციებში შეიძლება გამოვლინდეს შიზოიდური ტენდენციებიც. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მორჩილებითი პატერნი მოიცავს გარკვეულ ტენდენციებს, რაც ისტერიულობასთან არის კავშირში (ბეიკერის მიხედვით, იგივე შეიძლება ითქვას აგრესიულ პატერნზე), ვიდრე ამ ორ პატერნს პირდაპირ გავუტოლებთ ერთმანეთს როგორც ამას რაიკროფტი გვთავაზობს.

ფსევდო-ქალური რეაქციის გამორჩეული მახასიათებლებია პასიურობა, აგრესიის ბლოკირება, რის ქვეშაც ღრმა სიმწარე იმალება და სინაზის რომანტიულ იდეალთან იდენტიფიცირება, რომელიც სიყვარულის და დაცულობის ფუნქციას ასრულებს. თუ ფალოსური აქტიური კაცის ექსტრემალური ფორმა “ჯოჯოხეთის ანგელოზია”, პასიური პლასტმასის თოჯინის ექსტრემალურ ფორმას “სამოთხის ანგელოზი” შეესაბამება.

“ხშირად მძინარე მზეთუნახავის, ანგელოზის, პატარა საყვარელი გოგონას პატერნის მიღმა იმალება ხაზგასმული უარყოფა, უბიწობა და ბრმა ოპტიმიზმი. . . დაცვის და სიახლოვის სურვილის გამოწვევით, ასეთი ქალები იკმაყოფილებენ ნარცისულ მოტივებს მიიღონ და სანაცვლოდ არაფერი გასცენ, დააჯერონ სხვები რომ ისინი მათგან რაღაცას იღებენ, როცა სინამდვილეში არაფერსაც არ იღებენ. ამბივალენტობა შემდეგი ფორმულით გამოიხატება: “გთხოვ, გამოიჩინე ინიციატივა, მაგრამ მე არაფრის მოცემა არ მინდა”. (15 p.122)

კაცებში მორჩილების რეაქციის ადაპტაცია იწვევს გადაჭარბებულ სინაზეს, მონდომებას ასიამოვნოს სხვებს და ფსევდო-ქალური ხასიათისთვის დამახასიათებელ “კომპულსიურ დამთმობლობას”. აქაც ძლიერად ითრგუნება ასერტულობა, ქალის მიმართ ფალოსური ძალადობაც, ბუნებრივი სექსუალური ურთიერთობისთვის დამახასიათებელი აგრესიულობაც და ნორმალური თვითდაჯერებულობაც. ამის შედეგია ხელოვნურად მოთვინიერებული და ყველაფერზე თანახმა კაცი. როგორც ლეიკი მას აღწერს: “უსამართლობისთვის თვალეში ჩახედვის დროსაც კი არ შეუძლია გამოხატოს ან იგრძნოს ბრაზი, იმ დონეზე რომ ასეთი რეაქცია ზოგჯერ სტანდარტულ მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ბავშვი ხდება დედის ნებისმიერი გადაწყვეტილების ან შეხედულების უპირობო დამცველი და ამით ის თითქოს მის მიმართ შინაგან მრისხანებაზე მაღლა

3 ელსვორტ ბეიკერის ხასიათის ანალიზში არ მოიპებნება კატეგორია, რომელიც შეიძლება “მამრობით-აგრესიულ” ხასიათს დაუკავშიროთ. მიუხედავად ამისა, მას აქვს “ინტელექტუალური ისტერიკა” (“დიდი ტვინები”) კატეგორია, რომელიც საკმაოდ ახლოსაა შინაარსით რაიხის მიერ აღწერილ ტიპაჟთან, რომელიც ინტელექტს იყენებს დიდი ფალოსის მსგავსად, რითიც თავს იცავს მამაკაცებისგან. “ერთი ასეთი პაციენტი”, წერს ბეიკერი, “იქამდე მივიდა, რომ საკუთარ თავს აღიქვამდა როგორც დიდ ფალოსურ იარაღს, რომელსაც შეეძლო ირგვლივ ყველას განადგურება”. (3)

დგება. ის უკან იხრება რომ ასიამოვნოს ისინი, ვის მიმართაც შინაგან ბრახს გრძნობს. ის ყოველთვის გაურბის კამათს და ურთიერთობის გარჩევას. ის მთელი ძალით ეწინააღმდეგება შინაგან დომინირების და მშობლების დამორჩილების სურვილს და მისი რეაქცია სრული მორჩილება და სრულ კონტროლზე თანხმობაა. სიკვდილის სურვილს ის ჯანმრთელობაზე გადაჭარბებული ზრუნვით ფარავს, ისევე როგორც ზედმეტად ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე, ვისზეც ასეა დამოკიდებული. (6 p.155)

ლოუენის წიგნში “ხასიათის სტრუქტურის ფიზიკური დინამიკა” დეტალურად არის აღწერილი ხასიათის ამ პატერნის კუნთოვანი და სხვა მახასიათებელი დეტალები, შესაბამისად აქ გამეორებას აღარ მოითხოვს.

ჯონ პიერაკოსმა აღწერა ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევები აგრესიულ კაცსა და პასიურ ქალს და პასიურ კაცსა და აგრესიულ ქალს შორის. (32) მისი მთავარი მიგნებაა, რომ რადგან ორივე ხასიათის ტიპი რეპრესირებული ფორმით თავის პოლარულ საწინააღმდეგოს მოიცავს, ასეთ ურთიერთობებში ხშირად გვხვდება როლების ურთიერთგაცვლა:

“ქალი მამაკაცს არჩევს პასიურად ისე რომ მის აგრესიულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. აგრესიის დამალვით, მამაკაცი საკუთარ ნეგატიურ გრძნობებს ირიბად, ხოლო ქალი საკუთარ აგრესიას ეგოს ფუნქციებში გამოხატავს. კაცი საკუთარ ცუდ აზრებს უკუაგდება და შემდეგ უხეშ სექსუალურ ქცევაში გამოხატავს. კაცი უკუაგდება სიყვარულს, სიამოვნებას, ნაზ გრძნობებს ქალის მიმართ. შედეგად ის ქალს იძულებულს ხდის რომ ის მას სექსუალურ აქტში სრულად დანებდეს. სხვა დროს კაცი, რომელსაც აშინებს ქალის მუქარა, საკუთარი აგრესიული როლის კაპიტულაციას აკეთებს და ვარდება სრულ პასიურობაში. ეს ორი პარტნიორი შესაძლოა პერიოდულად ცვლიდეს როლებს. ქალი ხდება აგრესიული პარანოიდული ხმის აწევით. ეს მხოლოდ გარე მხარეა. ის მამაკაცისგან ენერჯიას გამოწვავს. როლის შეცვლის შედეგად ქალი პასიურ როლს ირგებს და კაცი ხდება აგრესორი. და ასე გრძელდება აგრესიის და პასიურობის თამაში “.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ როგორ ვლინდება განვითარების თითოეულ ფაზაში ხასიათის სტრუქტურებს შორის ფუნქციონალური იდენტურობა და ანტითეზისი.

## ნაწილი VII: ენერგეტიკული ბლოკები და სასიცოცხლო დინებები

ამით ვასრულებთ გაცნობით ეტაპს ძირითადი ხასიათის თავდაცვის მექანიზმების შესახებ. ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა ფროიდის და რაიხის შემდეგ ორ ყველაზე დინამიურ ხასიათის კვლევას შორის კავშირი: ლოუენის მიხედვით, რომელიც ლიბიდინალური განვითარების ბიო-ენერგეტიკულ შესწავლას ეყრდნობა და ლეიკის მიხედვით, რომელიც რონალდ ფერბერნის და ჰარი გუნტრიპის ინტერპერსონალური დინამიკიდან და ეგზისტენციალური თეოლოგიიდან იღებს საფუძველს.

პრინციპული კავშირები წარმოდგენილ ცხრილშია მოცემული, რომელიც შეიძლება ადრე ნაჩვენებ ცხრილს შევადაროთ.

თავდაცვები ვერტიკალურად არის დაკავშირებული თავის საწინააღმდეგო ფუნქციონალთან, ხოლო ორთავიანი ისრები მიუთითებს იმ პოლარობას რომელშიც კონკრეტული ადამიანი შეიძლება მოძრაობდეს. თავდაცვითი რეაქციები წყვეტილი



ხაზებით უკავშირდება ერთმანეთს, იმის მიხედვით რა საერთო მახასიათებლები აქვთ განვითარების ციკლის შემდეგ ეტაპზე. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ისტერიული და ორალური პატერნები სხვადასხვა ხასიათის ტიპებში გამოიხატება, მათ გააჩნიათ საერთო მობლაუჭების ტენდენცია (ისტერიული, ადამიანების მიმართ და დეპრესიული ორალური საჭიროებების მიმართ). პარანოიდული და ფსიქოპათიური დაცვის მექანიზმები ახლო კავშირშია, მიუხედავად იმისა რომ ფსიქოპათის მტკიცება ისე ადვილად არ ნადგურდება, როგორც პარანოიდული ეკრანი. ასევე, მაზოხისტი და მორჩილ პერსონაჟებს აერთიანებთ სიამოვნების მინიჭების პატერნი, თუმცა მაზოხისტი იბრძვის ამის წინააღმდეგ, ხოლო ნამდვილი პასიური მორჩილი ამ თვისებასთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენს.

## რულოლფ ლაბანის მოძრაობის მახასიათებლები

საინტერესო კავშირი არსებობს ოთხ “ფუნქციურად საწინააღმდეგო” ხასიათის სტრუქტურის წყვილებსა და ლაბანის მიერ გამოკვლეულ მოძრაობის ფუნქციებს შორის. ლაბანი გერმანელი თეატრის რეჟისორი და ქორეოგრაფი იყო, რომელმაც ფიზიკური აღზრდის განვითარებაში რევოლუციური წვლილი შეიტანა მოძრაობის გამოცდილების თავისებურებებზე თავისი დინამიური შეხედულებებით. მიუხედავად იმისა, რომ მას საკუთარი იდეები თერაპიაში არ გამოუცდია, ლონდონში არსებული ლაბანის მოძრაობის ხელოვნების სტუდიამ 1966 წლის აპრილში, თემაზე “მოძრაობა თერაპიაში”, მოიწვია სპეციალური კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდა 30 ჰოლანდიელი მოძრაობის თერაპევტი, ძირითადად ნიკ ვაალის თერაპიული მიდგომის მიმდევრები (ეს მიდგომა დაფუძნებულია ვეგეტატიურ იდენტიფიკაციასთან - კონცეფცია, რომელიც მან რაიხისგან აიღო). (38) ხოლო მარიონ ნორტმა, რომელიც ლაბანის მოძრაობების ცნობილი სპეციალისტი და ბრიტანეთის ფსიქოლოგიური საზოგადოების სემინარის “სიტყვების გარეშე კომუნიკაციის” (ედინბურგი, 1969 წლის მარტი) წევრი იყო, ამის შემდეგ დაწერა წიგნი “მოძრაობის სწავლება” (39), რომელშიც სცადა ხასიათის ანალიზის მოძრაობის თავისებურებებთან დაკავშირება.

ლაბანმა განსაზღვრა მოძრაობის თავისებურებები, როგორც ოთხი ძირითადი ფაქტორის, რომლებიც არის: დინება, დრო, წონა და სივრცე, გამოხატვა. თუ დინებას განვსაზღვრავთ როგორც ენერჯის ფუნდამენტურ თვისებას, ხოლო წონას, როგორც მასის და სტრუქტურის დამოკიდებულებას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ფიზიკური არსებობის ოთხ ფუნდამენტურ თვისებასთან: ენერჯია, მასა, სივრცე და დრო.

თითოეული ფაქტორისთვის ლაბანმა ასევე განსაზღვრა მათი კონტრასტული (ანტიტექტური) მოძრაობის თავისებურებები. დინებასთან დაკავშირებით, ის არჩევს თავისუფალ და შეზღუდულ დინებებს: სრულიად შეზღუდული დინება იწვევს გაყინულ, დემობილიზებულ მოძრაობას; სრულიად თავისუფალი დინების შედეგი იმპულსური, ზედმეტად გაფართოებული და სუსტი სტრუქტურის მქონე მოძრაობაა. აქ ჩვენ ვხედავთ მიჯაჭვულობის ფაზის ძირითად პოლარობას - შიზოიდურ გაქვავებასა და ისტერიულ (ფობიურ) გაქცევას შორის.

დროსთან მიმართებაში, ლაბანი განასხვავებს ნელ, შენელებულ და სწრაფ, აქსელერებულ რეაქციებს. ბიოლოგიაში დრო დაკავშირებულია მეტაბოლიზმთან: ჩვენ აქ ვხედავთ ძირითად კონტრასტს დეპრესიულ დაბალმუხტთან და ნელ რეაქციას და მანიაკალური რეაქციისთვის დამახასიათებელ სწრაფ და დამუხტულ მოძრაობებს შორის. დეპრესიაში

მყოფი ადამიანი შესაძლებელია იღებდეს წამალს -ამფეტამინებს რომელსაც “სისწრაფეს” უწოდებენ, იმისათვის რომ გაუაქტიურდეს რეაქციები.

ლაბანის მესამე კატეგორია წონაა. ამ კატეგორიის ურთიერთსაწინააღმდეგო უკიდურესობებიდან, ერთი სიმძიმით და მიზიდულობის დომინანტობის შედეგად მიწაზე მიჯაჭვულობით გამოწვეული ძალისხმევით ან ძალდატანებით შესრულებული მოძრაობებია. მეორე უკიდურესობა ისწრაფვის მიწიდან ზევითკენ მოძრაობისკენ, რომ გადალახოს სულიერად დაცემა და მიზიდულობის ძალა. აქ ჩანს სულიერი დაცემის შეჩერების ფსიქოპათიური ტენდენცია. მაზოხისტის შეკუმშული და პირდაპირი გაგებით წნეხისგან მოხრილი სხეულის ნებისმიერ მოძრაობას კი თითქოს ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება.

ლაბანის საბოლოო კატეგორია მოიცავს ორ ექტრემალურ რეაქციას სივრცის აღქმასთან დაკავშირებით, რომლებიც მან განსაზღვრა როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი განზომილებები. პირდაპირი რეაქცია წრფივი და სწორია, ხოლო არაპირდაპირი-მოხრილი, დაგრეხილი და ერიდება პირდაპირობას. ძალიან ნათლად ჩანს კავშირი ფალოსურ რეაქციის პატერნსა და სივრცის მიმართ სწორი, გაფართოებული და მოუქნელ დამოკიდებულებას შორის. საწინააღმდეგო პატერნი მოქნილი, მოძრავი და მოხრილ-ხაზოვანია. რთული არ არის აქ პარალელი გავავლოთ პასიურ მორჩილებითი რეაქციების პატერნთან.

ლაბანი მიიჩნევს, რომ ადამიანს, რომელიც თავისუფლად მოძრაობს, აქვს უნარი სიტუაციის მიხედვით რეაგირება მოახდინოს თითოეული მოდულის უკიდურესობებს შორის არსებული სპექტრის ნებისმიერ მონაკვეთზე. მას შეუძლია გაჩერდეს ან იმოძრაოს, იმოძრაოს ნელა ან ჩქარა, იყოს მოუქნელი ან წავიდეს კომპრომისზე, გამოიყენოს ძალა ან იყოს დელიკატური, ისე როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. ხასიათის რეაქციები ძირითადი ტენდენციების დამახინჯებულ გამოხატვად შეიძლება განვიხილოთ, შესაბამისად შიზოიდი კი არ ჩერდება, ის იყინება; ფალოსური პიროვნება პირდაპირი კი არ არის, ის კომპულსიურად იჭრება სხვის სივრცეში, და ა.შ.

გამაოგნებელია ლაბანის ოთხი მოძრაობის თავისებურებების ოთხ ფაქტორსა და ამ ნაშრომში აღწერილ ხასიათის განვითარების თეორიას შორის მსგავსება და მიუთითებს რომ ეს არც შემთხვევითი განაწილებაა და არც სადაო კლასიფიკაცია, არამედ მას ბევრად უფრო ღრმა შინაარსი გააჩნია.

არ არსებობს წმინდა სახით ხასიათის ტიპები. ყველა პიროვნებას საკუთარი გამორჩეული ცხოვრების დინება აქვს. არ არსებობს ორი ერთნაირი ცხოვრების დინება. სამაგიეროდ, მსგავსება შეინიშნება იმ გამოცდილებებში, რომლებიც ხელს უწყობს სიცოცხლის აქტიური, განვითარებადი ენერგიების ბლოკირებასა და დამახინჯებას. შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ პატერნები და სტრუქტურები დაგუბებულ ენერგიის ფორმებში. ხასიათი, როგორც რაიხი შეგვახსენებს, გაყინული ისტორიაა.

როდესაც ვმუშაობთ ხასიათის სტრუქტურის ნაწილის გახსნაზე, აუცილებლად გვხვდება წინააღმდეგობა. ნებისმიერი დაცვის ნევროზული რეაქცია იბრძვის გადარჩენისთვის. ის შეუძლებელია ძალით დაამარცხო. ბავშვი, რომელმაც იპოვა თავდაცვის საშუალება ჩვილობის ტრავმის საწინააღმდეგოდ, არ აპირებს გამოჯანმრთელდეს თერაპევტთან, რომელიც მის ჯავშანს თანაგრძნობის გარეშე ესხმის თავს. ჯავშანი უნდა დარბილდეს და გადნეს. თერაპევტის საუკეთესო მოკავშირე ამ პროცესში, თვითონ პაციენტში არსებული მისივე მთვლემარე სასიცოცხლო ძალაა.

ხასიათის სტრუქტურის შესწავლა - ეს პათოლოგიის შესწავლაა: ეს არის პატერნები, რომლებიც ახეიბრებენ და ზღუდავენ ცხოვრების განვითარებას. თუმცა, თავისი ცხოვრების ბოლო ეტაპზე (33) რაიხი უკვე საუბრობდა იმაზე, რომ ჯავშანს სიცოცხლის გადარჩენის ფუნქცია გააჩნია. მართალია წყალი გაიყინა, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ნაკადული დაშრა. როდესაც გაყინული ხასიათის სტრუქტურა იწყებს დაშლას, იქ რჩება სიცოცხლე, რომელიც ისევ მზადაა დინებისთვის. ხასიათის სტრუქტურა სიკვდილისგან თავის არიდების საშუალებაა - ბავშვი სასიკვდილოდ იქნებოდა განწირული მიჯაჭვულობის ნაკლებობის გამო, რომ არ ჰქონოდა თავდაცვითი პატერნის განვითარების უნარი. მეორეს მხრივ, როდესაც ხასიათის სტრუქტურა იშლება, სიკვდილის შიშში ხელახლა იღვიძებს, შიში საკუთარი მე-ს სიკვდილის, რომელიც ჩვენ უკვე ვიცით. ამ დროს ადამიანები ფიქრობენ “შენ თუ ჩემს ჯავშანს მომამორებ, რა ვიცი რა არის მის შიგნით. იქნებ ერთი დიდი სიცარიელეა?” სიღრმისეული თერაპიის შესაბამისად, შეიძლება საჭირო გახდეს მოგზაურობა წარსულში, სადაც ბევრჯერ მოგვკვდით დაცვის გარეშე; მეორეს მხრივ ამ მოგზაურობას თან ახლავს იმის გააზრება რომ ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ მოხდა. ისტორია გაიყინა, დღევანდელს კი შეუძლია ისევ იმოძრაოს. წარსულის სიკვდილი გადარჩა, მომავლის კი ჯერ არ მომხდარა და ამ ორს შორის მთელი ცხოვრება გასავლელი.

Free Article

ენერჯის ფუნქცია	განვითარების ფაზა	აწარმოების ათვისებულობები	სამაზისო ფუნქცია	საქრისი და მღვთი	ხასიათის პოტენციალი
დინება	მიტოვება	არსებობა და დანახვა	იდენტიფიკაცია	გახიზვება და ფიგურირება	მიწოდების სტრუქტურა
მზადა	არსებობის აწარმოებლობა	ქონა და დეგრადაცია	საზრდობა	გამოყვება და გადღობა	პარანოიკალიზირება
მერყობა	გამოვლენა	კეთება და შექმნა	მიღწევა	დროშის და განადგობა	ფაქტობრივი მახასიათებელი
კონსტი	კონსტიტუცია	გაცემა და მიღება	ინტენტი	რეგულაცია და შენეება	ფორმალური მორჩილებით

ამ ცხრილში შეჯამებულად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ლოუენის 5 ძირითად ხასიათის რეაქციასა და ოთხი წყვილი (რაც ჯამში რვა ძირითად ხასიათის დაცვაში ვლინდება) ხასიათის სტრუქტურის ფორმულირების კავშირი:

იერარქიული დონე ლოუენის პიროვნების კვლევის მიხედვით	ბუნებრივი მიტოვება	ბუნებრივი არსებობის აწარმოებლობა	ბუნებრივი გამოვლენა	ბუნებრივი კონსტიტუცია
არსებობის ფუნქცია	მიწოდების დაცვა			
საჭიროების ფუნქცია	ფორმალური დაცვა (პროცესუალური სტრუქტურა)	ინტენტი დაცვა (დემონსტრაცია)		
ათვისებულ ნების ფუნქცია		პარანოიკალიზირების დაცვა	ფაქტობრივი დაცვა	
დემოკრატიალის ფუნქცია			მახასიათებელი დაცვა	პასიური მორჩილებით დაცვა
საჩივრის ფუნქცია				რეგულაციური დაცვა
	ფორმალური ფაზა	ინტენტი ფაზა	ანტი-ინტენტი ფაზა	გენტილური ფაზა




## භ්‍යාකූල:


1. **Reich, Wilhelm**  
Character Analysis, New York, 1949.
2. **Fenichel, Otto**  
The Psychoanalytic Theory of Neurosis, London, 1946
3. **Baker, Elsworth**  
Man in the Trap, New York, 1967.
4. **Lowen, Alexander**  
Physical Dynamics of Character Structure, New York, 1958.
5. **Guntrip, Harry**  
Personality Structure and Human Interaction, London, 1961.
6. **Lake, Frank**  
Clinical Theology, London, 1966.
7. **Lowen, Alexander**  
The Betrayal of the Body, New York, 1967.
8. **Lowen, Alexander**  
Depression and the Body, New York, 1972.
9. **Bowlby, John**  
Attachment and Loss, Vol. I & II, London, 1971, 1973
10. **Lowen, Alexander**  
"A hierarchy of character structure", Energy and Character, Vol. 5
11. **Lake, Frank**  
Clinical Pastoral Care in Schizoid Personality Reactions, 2nd edition
12. **Rycroft, Charles**  
Anxiety and Neurosis, London, 1968.
13. **Schatzman, Morty**  
Soul Murder, London, 1973.
14. **Boadella, David**  
"The divided self", Energy and Character, Vol.3, No.2, May, 1972
15. **Christiansen, Bjorn**  
Thus speaks the body, Oslo, 1963.
16. **Bevan-Browne, M.**  
Sources of love and fear, Wellington, New Zealand, 1950
17. **Berger, John**  
Ways of Seeing, London, 1972.
18. **Boyesen, Gerda**
  - a. "Experiences with dynamic relaxation", Energy and Character, Vol.1, No.2, January, 1970.
  - b. Boyesen, Mona-Lisa "Psycho-peristalsis", Energy and Character, Vol.5, No.1, January 1974.
  - c. "The primary personality and the streamings",
19. **Darwin, Charles**  
The expression of the Emotions in Man and Animals, London.
20. **Klein, Melanie**  
"Mourning and its relation to manic-depressive states", Inter-national Journal of Psycho-analysis, Vol.21, Part 2. (April, 1946).
21. **Barrett, Anthony**  
Instinct and Intelligence, London, 1967.
22. **Braatoy, Trygve**  
Fundamentals of Psycho-analytic Technique, London, 1948.
23. **Boadella, David**  
"Emotional expression and vegetative rhythms", Energy and Character, Vol.5, No.1, January, 1974.
24. **Russell, W.M.S. & Claire**  
Human Behaviour, London, 1967.
25. **Suttie, Jan**  
The Origin of Love and Hate, London, 1935.
26. **Reich, Wilhelm**  
Cosmic Superimposition, Rangeley, Maine, U.S.A., 1952.
27. **Boadella, David**  
"The return of the repressed", Energy and Character, Vol.3, No.1, January, 1972.
28. **Ritter, Paul & Jean**  
"Genital play in children", Orgonomic Functionalism, Vol.3, No.4, 1956.
29. **Reich, Wilhelm**  
The Murder of Christ, Rangeley, Maine, U.S.A., 1953.
30. **Lowen, Alexander**  
Love and Orgasm, New York & London, 1965.
31. **Pierrakos, John**  
"The problems and position of modern woman", Energy and Character, Vol.3, No.2, May, 1972.
32. **Reich Wilhelm**  
"The emotional desert", Core, Vol.7, 1955.
33. **Winnicott, Donald**  
The Maturational Process and the Facilitating Environment, London, 1965.

34. **Mullins, R.**  
"The defensive function of horror", Talk at Aspen, July, 1973.
35. **Laban, Rudolf**  
The Mastery of Movement, London, 1960.
36. **Liss, Jerome**  
"Why touch", Energy and Character, Vol.5, No.2, May, 1974.
37. **Waal, Nic**  
"A special technique for the treatment of the autistic child", Energy and Character, Vol.1, No.3, September, 1970.
38. **North, Marion**  
Movement Education, London, 1972

Free Article



If you wish to receive more information about the reissue of the journal, we invite you to visit our website [www.energyandcharacter.com](http://www.energyandcharacter.com), where you can get information about how and where to buy them.

 [www.energyandcharacter.com](http://www.energyandcharacter.com)  
 [journal@energyandcharacter.com](mailto:journal@energyandcharacter.com)  
 +34 680 457 788 - 620 012 111